ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

9
ივლისი,
ოთხშაბათი,
2014 წ., №9

თსუ-ში ახალი ფაკულტეტი იქმნება

„უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტი იქმნება, რაც, ერთი მხრივ, სიახლეა, მეორე მხრივ კი, ტრადიციის დაბრუნება“, — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ პრესკონფერენციაზე, რომელიც უნივერსიტეტში 1 ივლისს გაიმართა. მან მედიის წარმომადგენლებს გააცნო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილება უნივერსიტეტში ახალი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის შესახებ და ისაუბრა იმ პირობებზე, რაც ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა.

მე-3 გვერდზე

ნომერში

რა ცვლილება იგეგმება ფაკულტეტების სტრუქტურული მოწყობის მხრივ 2

ვინ იქნებიან ფაკულტეტების ახალი რჩეულები? 2

თსუ-ს ოფიციალურად დამტკიცებული სიმბოლიკა ექნება 4

ქართველებსა და აფხაზებს შორის გამოკვეთილი საერთო ინტერესი 5

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს 70 წელი შეუსრულდა 11

მედიაც იმ პროცესებს გადის, რასაც ქვეყანა

გვ. 10

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 12 და 19 ივლისს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას **„უნივერსიტეტი“**

ცნობისთვის

TV

თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს

რა ცვლილება იგეგმება ფაკულტეტების სტრუქტურული მოწყობის მხრივ

უნივერსიტეტში იგეგმება ცვლილება ფაკულტეტების სტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით. თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფაკულტეტების დეკანებს ეყოლებათ ორი მოადგილე — ერთი სასწავლო ნაწილში და მეორე — სამეცნიერო ნაწილში.

კომენტარი

„დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უნივერსიტეტში ხელი შეეწყოს სამეცნიერო კვლევებს, რადგანაც უნივერსიტეტის დამაარსებლებმა იგი ჩამოაყალიბეს, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება. ჩვ-ენთვის ეს პრიორიტეტულია და ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი პროფესურა წარმატებულია საერთაშორისო და ეროვნულ ასპარეზზე, მაგრამ ვერ დავიკვეხნით იმით, რომ ფაკულტეტებზე სამეცნიერო მუშაობა ჯეროვან დონეზე დგას. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამ მიმართულებით პასუხისმგებელი პირის საკითხი აქამდე ჰაერში იყო გამოკიდებული. ამიტომ წარმომადგენლობით საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ფაკულტეტების დეკანებს ეყოლებათ ორი მოადგილე — ერთი სასწავლო ნაწილში და მეორე – სამეცნიერო ნაწილში. ახალს არაფერს ვამბობთ, ეს ასე იყო ტრადიციულად, უბრალოდ, ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, რომ დეკანის ერთი მოადგილე კურირებდა სასწავლო-სამეცნიერო დარგს და ხოლო მეორე — საფინანსო-ეკონომიკურ ნაწილს (რაც არ მესმის, რისთვისაა საჭირო.) ამ ცვლილებით ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სამეცნიერო ნაწილზე, რომ ფაკულტეტებზე ფართოდ გაიშალოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა“, — აღნიშნა რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

ვინ იქნებიან ფაკულტეტების ახალი რჩეულები?

ნოემბრიდან თსუ-ს ახალი აკადემიური საბჭო ეყოლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს შემოდგომის მიწურულს აირჩევს. აკადემიური საბჭოს იმ წევრს, რომელიც 2-ჯერ ზედიზედ უკვე იყო არჩეული, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აღარ ექნება. უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭოს 14 წევრი უნდა აირჩიოს თსუ-ის 7-ივე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი) ფაკულტეტიდან. ვინ იქნებიან ფაკულტეტების რჩეულები ახალ საბჭოში, ეს ნოემბერში გახდება ცნობილი.

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

გიორგი დვალაშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი:

— ჩვენს დეპარტამენტს არ აქვს ხელსაყრელი კაბინეტები და აუდიტორიები. ჩვენთან ყველა საგანს სჭირდება საილუსტრაციო მასალა, რომლის ჩვენებაც ლექციის წაკითხვისას აუცილებელია. იმ ოთახებში კი, სადაც ლექციებს ვატარებთ, არ არის პროექტორის გამოყენების საშუალება, არც სპეციალური ეკრანია, ბევრ ოთახში ელექტრო ენერგიაც არ გვაქვს. ყოველივე ამის საშუალება ერთადერთი ქიმიის აუდიტორიაშია, სადაც მხოლოდ დიდ ჯგუფებს უტარდებათ ლექციები.

გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისთვის საველე პრაქტიკები აუცილებელია. სხვათა შორის, წინა წლებთან შედარებით, წელს არა ერთი საველე გასვლა გვქონდა. მხარდაჭერას გვიცხადებს და გვეხმარება უნივერსიტეტის ავტო-პარკი. თუმცა პრობლემას ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით: მანქანები მცირე ტევადობისაა და ამიტომ გვიწევს ისეთი სტუდენტების შერჩევა, რომლებიც შედარებით უფრო მოტივირებულები არიან. დარიალის ხეობაში მომხდარი ღვარცოფის დროს გვინდოდა, სტუდენტები კვლევის ჩასატარებლად წაგვეყვანა, მაგრამ უმეტესობა ამ პროცესში ვერ ჩავრთეთ. თან საველე პრაქტიკის საგანი ახლა უკვე სავალდებულოა სტუდენტებისთვის და მეტი დაინტერესებაც არის მის მიმართ, მაგრამ დაფინანსება წინა წლებთან შედარებით არ გაზრდილა. იმედი გვაქვს, ამ მხრივაც გვექნება მხარდაჭერა.

ნინო ჩიქოვანი,
თსუ-ის კულტურის მეცნიერებათა კვლევის ინსტიტუტის პროფესორი:

— ისევე როგორც ყველა სხვა კვლევითი ინსტიტუტი, ჩვენ ორი ძირითადი საქმიანობით ვართ დაკავებული: კვლევა და სწავლება. ბოლო წლებთან შედარებით თსუ-ში ვითარება გამოსწორდა, თუმცა ჯერ მაინც ბევრი პრობლემაა. მოგვარდა სტუდენტების ელექტრონული რეგისტრაცია, ტუტორების დახმარებით სტუდენტებს უადვილდებათ სასწავლო პროგრამების შერჩევისას ორიენტაცია, ამდენად ჩვენს სპეციალობაზეც გაიზარდა მათი რიცხვი და ის 4 პროფესორი, რომლებიც ინსტიტუტში ვართ, დიდი დატვირთვით ვმუშაობთ. მოგეხსენებათ, დოქტორანტებს ევალებათ კრედიტების ფარგლებში პროფესორების ასისტენტობა. იმედია, მომავალში ისინიც შემოემატებიან ჩვენს ერთეულს. ადრეც გვყავდა რამდენიმე დოქტორანტი, რომლებმაც დისერტაცია დიდი წარმატებით დაიცვეს, თუმცა სხვა უნივერსიტეტებში დასაქმდნენ. ვისურვებდი, ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს. შემოდგომაზე კიდევ ერთი დოქტორანტი დაიცავს დისერტაციას და იმედია, მოხერხდება მისი თსუ-ში დატოვება. ეს ზოგადად უნივერსიტეტის ინტერესიცაა.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ კულტურის კვლევები ინტერდისციპლინური დარგია, რაც პროგრამის გახსნილობას გულისხმობს. შესაბამისად, სტუდენტს უნდა შეეძლოს, რომ ჩვენი პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა სხვა ფაკულტეტიდან სხვადასხვა სპეციალობის საგნებიც აირჩიოს. ეს ჩვენი პროგრამის აღწერილობაშიც არის აღნიშნული. მაგრამ აქ ვაწყდებით პრობლემას. ამ საგნებს ბაზა ან ვერ ხედავს, ან ჩვენი პროგრამის ჩამონათვალში არ არის შესული. შემომთავაზეს, რომ გადამეხედა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგნებისათვის და შეგვეტანა ჩვენი პროგრამის ჩამონათვალში. ეს კარგია, თუმცა ზოგჯერ ახალი საგნები ჩნდება, ან რომელიღაც საგანი არ იხსნება აკრედიტაციის დროს. ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია. შემდეგ ჩვენ გვიწევს განცხადებების წერა — გთხოვთ ჩვენს ჩამონათვალს დაუმატოთ ესა და ეს საგანი. განცხადება აუცილებლად კმაყოფილდება, თუმცა ზედმეტი წვალებისა და დროის ხარჯვის ფასად. არა მგონია, რომ დღევანდელ პირობებში სპეციალისტებს ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ამ ხარვეზის გამოსწორება გაუჭირდეთ.

პრობლემები გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურის შეძენის მხრივაც. მესმის, რომ ეს ფინანსებს უკავშირდება, მაგრამ აუცილებელია, თუ გვინდა ამ სპეციალობის განვითარება. ჩვენი ერთეული პატარაა და შეიძლება ამის გამოც ხდება, რომ ჩვენ მიერ შესაძენად წარდგენილი წიგნები არასდროს ხვდება საბოლოო სიაში. არადა, თუ გვინდა ამ სპეციალობის შენარჩუნება, სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა აუცილებელია. იმედი მაქვს, უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში კულტურის სპეციალობაც იგულისხმება. ეს პროგრამა ამ სახით საქართველოში მხოლოდ ჩვენთან არის, გვაქვს გარკვეული გამოცდილება, თუმცა განვითარებაც გვჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურას ხანდახან საკუთარი ფინანსებით ვყიდულობთ, გვეხმარებიან უცხოელი კოლეგებიც. მიუხედავად ამისა, არასაკმარისია, რადგან ბევრი ახალი ლიტერატურა გამოდის.

პრობლემას წარმოადგენს ელექტრონული უწყისების საკითხიც. რატომღაც აქამდე ვერ მოხერხდა, რომ პროფესორებს მათზე წვდომა გვქონდეს. გვიწევს მისვლა დეკანატში, უწყისების ამობეჭდვა, შევსება, ისევ დეკანატისთვის მიწოდება, ხოლო შემდეგ ფაკულტეტის ადმინისტრაციას შეაქვს შედეგები ელექტრონულ უწყისებში. კარგი იქნებოდა, თუ პროფესორებს ამის გაკეთების საშუალება თავად გვექნებოდა. მართალია, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ამ საკითხს მოკლე ვადებში აგვარებს, მაგრამ სირბილი ქაღალდებით კორპუსებს შორის ზედმეტ დროს მოითხოვს და თანაც შეცდომის დაშვების ალბათობაც იზრდება. საუბარი იყო, რომ ახალი ელექტრონული პროგრამა იქმნებოდა და ეს პრობლემა მოგვარდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ვითარება არ შეცვლილა.

კახა გაბუნია,
თსუ-ის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

— უკვე ოთხი წელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ გაამართლა. სტუდენტების რაოდენობა ყოველ წელს მატულობს და ახლა მათი რიცხვი, დაახლოებით, 350-ს უდრის. ჩვენი არაქართულენოვანი სტუდენტები ახერხებენ — ისწავლონ საქართველოში და უმაღლესი განათლების მისაღებად ერევანში, ბაქოში ან თუნდაც მოსკოვში არ წავიდნენ. თუმცა ობიექტური ვიქნები და გეტყვით, ყველაფერი იდეალურად ნამდვილად არ გვაქვს. ბევრი გასაუმჯობესებელი საკითხია, უპირველესად — სილაბუსები. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დავიწყეთ. ასევე ვაპირებთ პროგრამას ახალი არჩევითი საგნები დავამატოთ. მოგეხსენებათ, ამ პროგრამის კურსდამთავრებულები სხვადასხვა სპეციალობებზე აბარებენ და ხშირად გვაქვს შემთხვევები, როდესაც მათ კარგად იციან სასწავლო მასალა, თუმცა ქართულ ენაზე გადმოცემა უჭირთ. ყველა სპეციალობას სპეციფიკური ტერმინოლოგია და სტილი აქვს. ამიტომ ვაპირებთ, დავიწყოთ არჩევითი კურსები, სადაც სტუდენტები სხვადასხვა სპეციალობის სპეციფიკურ ტექსტებზე უკვე წინასწარ იმუშავებენ. ამავე დროს კარგი იქნებოდა — ფაკულტეტებზე შექმნილიყო დამხმარე ცენტრები, რომლის თანამშრომლებიც, პირველ ეტაპზე, ჩვენი პროგრამის კურსდამთავრებულებს სასწავლო პროცესში დაეხმარებიან.

ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ ამ პროგრამის ბავშვები ქართველი თანატოლებისგან იზოლირებულები არიან, რაც მათ ინტეგრაციას უშლის ხელს. იგულისხმება ის ფაქტი, რომ ჩვენი შენობა თსუ-ის ძირითადი კორპუსებისგან მოშორებით არის. ვეთანხმები ამ კრიტიკას, მაგრამ ეს შეგნებულად არ მომხდარა. ჩვენ გადავედით იქ, სადაც ფართი გამოთავისუფლდა. რამდენადაც ვიცი, იგეგმება, რომ ამ შენობაში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე სპეციალობის ლექციები ჩატარდეს. ამ შემთხვევაში ეს პრობლემაც მოხსნილი იქნება. ასევე ვისურვებდი, რომ ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა პროექტებიც განხორციელდეს უნივერსიტეტის, არასამთავრობო თუ დონორი ორგანიზაციების ინიციატივით. ჩვენი პროგრამის სტუდენტებმა ნამდვილად სათანადო დონეზე იციან ქართული და გარკვეულები არიან სხვადასხვა საკითხებში. მაგალითად, ესეების კონკურსში ევროკავშირში ინტეგრაციის თემაზე 3 გამარჯვებულიდან 2 ჩვენი პროგრამის სტუდენტი გახდა. ვფიქრობ, ამ ყველაფერს საზოგადოების ყურამდე მიტანა ნამდვილად სჭირდება.

თსუ-ში ახალი ფაკულტეტი იქმნება



მაია ტორაძე

„უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტი იქმნება, რაც, ერთი მხრივ, სიახლეა, მეორე მხრივ კი, ტრადიციის დაბრუნება“, — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ პრესკონფერენციაზე, რომელიც უნივერსიტეტში 1 ივლისს გაიმართა. მან მედიის წარმომადგენლებს გააცნო აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილება უნივერსიტეტში ახალი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის შესახებ და ისაუბრა იმ პირობებზე, რაც ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა.

გადაწყვეტილება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის შესახებ 2014 წლის 26 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და სენატმა მიიღეს. ამ მიზნით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოფა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს — განათლების მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება. მათი გაერთიანების გზით ჩამოყალიბდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ახალი (მეშვიდე) ფაკულტეტის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით, რექტორის ბრძანებით, უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი 11 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე იმ მიმართულებების პროფესორები, რომლების გაერთიანების შედეგადაც ახალი ფაკულტეტი უნდა ჩამოყალიბდეს.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბოლოო ჩამოყალიბების პროცესი 2014 წლის ბოლომდე დასრულდება.

უნივერსიტეტის რექტორმა პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას ისტორიული წინაპირობაც ამყარებს, რადგან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების სკოლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილის ბინაში პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა შედგა, გადაწყდა, რომ ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაარსებულიყო, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჩამონათვალში თავიდანვე შედიოდა პედაგოგიკა. მეცნიერების ამ დარგს დამფუძნებლები დაარსებისთანავე გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომ, 1919 წლის სექტემბერში უნივერსიტეტის საპედაგოგიკო ინსტიტუტი დაარსდა, რომლის გამგედ პროფესორი დიმიტრი უზნაძე აირჩიეს.

სხვა დარგებთან ერთად უნივერსიტეტის პირველივე თაობის სტუდენტობა ფსიქოლოგიის მეცნიერებასაც სწავლობდა. პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ფსიქოლოგიის სალექციო კურსს დიმიტრი უზნაძე კითხულობდა. მისი ინიციატივით, 1923 წელს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური ლაბორატორია გაიხსნა, ხოლო 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შემადგენლობით ფსიქოლოგთა საზოგადოებაც დაარსდა. ფსიქოლოგიის დარგი უნივერსიტეტში ჯერ ისტორიის, შემდეგ იურიდიული, ხოლო ბოლოს ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტის შემადგენლობაში ვითარდებოდა. დამოუკიდებელი სახით ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1990 წელს დაფუძნდა. 2005 წლიდან იგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან გაერთიანდა და მის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა.

„ფსიქოლოგიის მიმართულება რამდენიმე წელია აყენებს საკითხს, რომ დამოუკიდებლად, ცალკე ფაკულტეტად არსებობის შემთხვევაში, ფსიქოლოგიის სკოლა უკეთ განვითარდებოდა. ჩვენ რამდენჯერმე შევიკრიბეთ და ვიმსჯელეთ, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა აზრი, რომ შექმნილიყო არა უბრალოდ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, არამედ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი. ამას აქვს მნიშვნელობა, რადგან ქვეყანაში ეს ორი დარგი განსაკუთრებულ დახმარებას და ხელშეწყობას საჭიროებს, რადგან, სამწუხაროდ, შეგნებით თუ შეუგნებლად, ისინი ბოლო წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მიიჩქმალნენ.

გადაწყვეტილების მიღებისას გამოვდიოდით რამდენიმე მოსაზრებიდან: რამდენად არის ეს საკითხი მწვავე, რამდენად საჭიროებს იგი გადაწყვეტას, როგორია ადამიანური რესურსი, რამდენადაა საზოგადოება მზად ამისთვის და, რაც მთავარია, როგორია ფინანსური მდგომარეობა? გადაწყვეტილება მივიღეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა ეს პარამეტრი შევისწავლეთ. ჩვენი ამოცანაა, რომ ახალმა ფაკულტეტმა, რომელიც თსუ-ში იქმნება, აღადგინოს ძველი ტრადიციები, მოიზიდოს მსოფლიო გამოცდილება და გააზიაროს იგი“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განცხადება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ულოცავს მთლიანად საქართველოს და მის მოქალაქეებს ისტორიულ ფაქტს — საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას.

ქართველი ხალხი მუდამ მიისწრაფოდა ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობებისკენ მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე. სწორედ ამიტომ არის ისტორიული დღე 2014 წლის 27 ივნისი საქართველოსთვის.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ საქართველოს ევროპული არჩევანი კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა და ქვეყნის ევროპული მომავალი განამტკიცა. ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს კეთილდღეობის, დემოკრატიული განვითარების, პოლიტიკური და ფინანსური სტაბილურობის მყარ პირობებს ქმნის. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტზე ხელმოწერით საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიტიკური ნება — დაიცვას ადამიანის უფლებები, განამტკიცოს კანონის უზენაესობა, გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროპას. ამ მიზნების განხორციელებაში განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი ენიჭება განათლებას და მეცნიერებას. სწორედ ევროპული არჩევანი შეუწყობს ხელს განათლების და მეცნიერების სფეროში დასავლური სტანდარტების დამკვიდრებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი რეგიონში, კვლავ გააგრძელებს ჯერ კიდევ საუკუნის წინ ქართული სახელმწიფოს წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას — ხელი შეუწყოს პროგრესული იდეების დამკვიდრებას საქართველოში.

ექსპერტული ხედვა

რამაზ საყვარელიძე,
ფსიქოლოგი, პროფესორი:



— ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. მე ვიყავი დეკანი მაშინ, როდესაც ფაკულტეტს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ერქვა. ფაკულტეტზე იყო პრობლემა. ფილოსოფოსები ყოველთვის ყურადღებიანი და კარგი პარტნიორები იყვნენ, მაგრამ არ ესმოდათ — რა საჭიროა ექსპერიმენტი? რა საჭიროა ლაბორატორია? — ასეთ გაუგებრობებს მუდამ ჰქონდა ადგილი. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ მიმართულებასთან ხარ დაწყვილებული, თუკი მაინც და მაინც დაწყვილებული უნდა იყო. ამ თვალსაზრისით პედაგოგიკა არის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული სფერო, სადაც პირველად შევიდა ფსიქოლოგია. დღეს აშშ-ში ყველაზე მეტი ფსიქოლოგი (22 000 კაცი) განათლების სისტემაში მუშაობს, რადგან განათლების სისტემაში თითქმის ყველაფერი, გარდა უშუალოდ საგნის შინაარსისა, ფსიქოლოგიას უკავშირდება: როგორ გადასცემ? როგორი კომუნიკაცია გაქვს? როგორ უნდა აღზარდო პიროვნება? როგორ უნდა მოაგვარებინო ბავშვს ოჯახთან კონფლიქტი და ა.შ. ასე რომ, ეს არის პრაქტიკა, რომელშიც ფსიქოლოგიური პრობლემების ცვენაა. ამიტომ ამ პრაქტიკულ დარგს ფსიქოლოგიის ფასი ყველაზე უკეთ ესმის მთელს მსოფლიოში. ამდენად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების შერწყმით ძალიან მიზანშეწონილი სინთეზი მოხდა.

უამრავ საკითხში ფსიქოლოგია პედაგოგიკისთვის საფუძველს წარმოადგენს, ანალოგიურად — პედაგოგიკა ფსიქოლოგიისთვის, ანუ სასწავლო პროცესი იმ პრაქტიკულ არიალს წარმოადგენს, სადაც ფსიქოლოგიის შესაძლებლობები რეალობაში ჩანს. ვფიქრობ, ეს დუეტი კარგად შეეწყობა.

თსუ-ს ოფიციალურად დამტკიცებული სიმბოლიკა ექნება

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სულ მალე საკუთარი სიმბოლოები – დროშა და გერბი ექნება.

შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, რომ მხოლოდ ახლა, დაარსებიდან 96 წლისთავზე, დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, მაგრამ, ფაქტია, რომ აქამდე ყველა ის სიმბოლიკა, რომელსაც საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე ვხედავდით, ოფიციალურად დამტკიცებული არ ყოფილა და ამ საკითხზე არც არავის უზრუნია.

ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა დაინტერესდა უნივერსიტეტის სიმბოლიკით და მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ რეგიონში პირველ უმაღლეს სასწავლებელს არც ოფიციალური გერბი და დროშა აქვს და არც ჰიმნი (მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ჰიმნია დაწერილი), დაიწყო მოძრაობა სიმბოლიკის შექმნის და დამტკიცებისთვის.

„ცოტა არ იყოს, კურიოზულ სიტუაციაში ვართ. ჩვენი უნივერსიტეტი 96 წლისაა და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთადერთი უნივერსიტეტია, რომელსაც ოფიციალურად დამტკიცებული სიმბოლიკა არ აქვს. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ, სადაც თითქმის 100 წელია, მის გარეშე ვარსებობთ, მეორე ასი წელიც ვიყოთ, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ სიმბოლიკას ყოველთვის აქვს გარკვეული დატვირთვა, საკითხი ასე მარტივად არ დგას. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ვიყოთ ფლაგმანი და ნამდვილად ვართ ასეთი ორგანიზაცია, სიმბოლიკა უნდა გვქონდეს. ეს პრაქტიკა მთელს მსოფლიოშია დანერგილი“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ და აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზნით გაფორმდა მემორანდუმი ჰერალდიკის სახელმწიფო კომისიასთან, რომელიც უნივერსიტეტს უსასყიდლოდ ეხმარება. „უნივერსიტეტის ცნობილი ლოგო, რომელზეც დედა ირემი შვილს ძუძუს აჭმევს, სამწუხაროდ, ჩვენი გერბი არ არის. იგი დამფუძნებლებმა შექმნეს, როგორც ბეჭედი. ჩვენ ტრადიციაზე უარის თქმა არ გვინდა, ამიტომ ვთხოვეთ ჰერალდიკოსებს, რომ გერბისთვის და დროშისთვისაც შეენარჩუნებინათ ბეჭდის ეს კონსტრუქცია. მათ შემოგვთავაზეს სხვადასხვა ვარიანტები, თუ როგორი უნდა იყოს გერბი და დროშა. ჩვენ გვინდა, მათ მიერ წარმოდგენილი ესკიზები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში, დაიდოს ვებ-გვერდზე და გახდეს საუნივერსიტეტო განხილვის საგანი. ეს საკითხი არც მხოლოდ რექტორის გადასაწყვეტია და არც მარტო წარმომადგენლობითი საბჭოსი. აქ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა და თუ წლის ბოლომდე გადაწყვეტილების მიღება მოხერხდება, მაშინ 2015 წლის 8 თებერვალს უკვე ჩვენი ოფიციალური დროშით და გერბით შევხვდებით. რაც შეეხება ჰიმნს, ცოტა უფრო რთული საკითხია, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას ნამდვილად ვაპირებთ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

რა სიახლეა უნივერსიტეტის გერბისა და დროშის ესკიზებში, რა ისტორიულ საფუძველს დაეყრდნობა უნივერსიტეტის მომავალი სიმბოლიკა და რა შინაარსობრივი დატვირთვა ექნებათ მათ, ამ საკითხზე ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, ისტორიის დოქტორს ზურაბ გაიპარაშვილს.

— *ბატონო ზურაბ, რატომ დადგა დღის წესრიგში უნივერსიტეტის სიმბოლიკის დამტკიცება?*

— ნებისმიერი დაწესებულება ან ინსტიტუცია, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ პრეზენტაბელური იყოს, დაინტერესებულია, რომ სიმბოლოები ჰქონდეს. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება გერბი, დროშა და ჰიმნი. ყველა ცნობილ თუ არაცნობილ უნივერსიტეტს აქვს ეს სამი სიმბოლო, რითაც იგი საზოგადოებას ამახსოვრდება. ამ სიმბოლოების გარეშე არ იმართება არათუ მხოლოდ მნიშვნელოვანი, საზეიმო თუ ოფიციალური ღონისძიებები, არამედ მათ გარეშე წარმოუდგენელია უნივერსიტეტების ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრება.

— *საინტერესოა, რა ისტორიული მონაცემები არსებობს — ჰქონდა თუ არა ოდესმე უნივერსიტეტს თავისი ოფიციალური სიმბოლიკა?*

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ისევე, როგორც ჩვენმა ქვეყანამ, უამრავი კატაკლიზმა გადაიტანა. ამიტომ ეს საკითხი მისი არსებობის ვერც ერთ ეტაპზე ბოლომდე ვერ მოგვარდა, თუმცა ჩვენს დამფუძნებლებს რომ ამ სიმბოლოების მნიშვნელობა გააზრებული ჰქონდათ, მხოლოდ ის ფაქტიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალშივე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა საკითხი უნივერსიტეტის ბეჭდის ესკიზის დამტკიცების შესახებ. მაშინ მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ სამი ვარიანტი წარადგინა და იქიდან ერთ-ერთი პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის ბეჭდად დაამტკიცა.

უნივერსიტეტის ბეჭდის მთავარ ელემენტად გამოყენებულია ბრინჯაოს ხანის ჭვირული ბალთების კომპოზიცია, რომელიც დიმიტრი შევარდნაძემ გრაფიკული სახით გამოიყენა. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს სიმბოლოები ეხმიანება წარმართულ დედა ღვთაებას, რაც, შესაძლებელია, დიმიტრი შევარდნაძისთვისაც მნიშვნელოვანი იმპულსი ყოფილიყო. რატომ? იმიტომ, რომ გამოსახულება ასახავს დედა-შვილი ირმების ურთიერთობას, რაც ბალთაზე და, შემდგომ დიმიტრი შევარდნაძის ესკიზებშიც, გადმოტანილი და ნაგულისხმევია, როგორც მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობა.

ბეჭდის შექმნის შესახებ არსებობს უამრავი მოგონება, მათ შორის, მახსენდება აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის მოგონება, სადაც იგი ამბობს, რომ ეს ბეჭედი (და გერბიც) დიმიტრი შევარდნაძემ უშუალოდ ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მონაწილეობით შექმნა.

ბეჭდის ერთ-ერთი კომპოზიცია – ირმების დედა-შვილური ურთიერთობა — დარჩა გერბშიც, ოღონდ მას დაემატა წრიული გვირგვინი, რომელზეც დატანილია სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის გამოსახულება. ეს ჩუქურთმა აღებულია იშხნის მცირე ეკლესიის ტიმპანის მორთულობიდან.

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ დიმიტრი შევარდნაძეზე, რომელიც ძალიან ცნობილი და აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. იგი კარგად იცნობდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ ევროპულ კულტურასაც. 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ცნობილი მესამე ექსპედიცია მოაწყო თურქეთის საქართველოში. მას თან ახლდა დიმიტრი შევარდნაძეც და, როგორც ჩანს, მაშინ გააკეთა ეს ჩანახატები იშხნის მცირე ეკლესიიდან. იშხანი ქართული კულტურის უდიდესი აკვანი იყო. მისი მცირე ეკლესია 1006 წელს მეფე გურგენმა ააშენა, რომელიც საქართველოს ისტორიაში პირველად იხსენიება მეფეთ მეფის ტიტულით. აკადემიკოსი ვახტანგ ჯობაძე მიიჩნევს, რომ ეს მორთულობა არის სიმბოლო სამოთხისა, სრულყოფილებისა, იმ სამყაროსი, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ადამიანი და კაცობრიობა.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ამ გერბის წერილობითი აღწერილობა, ანუ ბლაზონი, არ შემოგვრჩენია, მისი გამოსახულება შეიძლება აიხსნას ასე: ცოდნისა და სრულყოფილების სამყაროსაკენ სვლა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი მჭიდრო ურთიერთობის შედეგად, როგორიც შეიძლება არსებობდეს მოძღვარსა და შეგირდს შორის. ამ ამაღლებულ განწყობას ქმნის დედა-შვილი ირმების ფონზე ბეჭედსა და გერბზე გამოსახული სიცოცხლის ხეც.

ბეჭედს აქვს წარწერა — ქართულად „ტფილისის უნივერსიტეტი“ და ლათინურად „Universitas Tfilisensis”.

— *არსებობს თუ არა დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს, რომ სწორედ ეს იყო უნივერსიტეტის ბეჭედი და გერბი?*

— ჩვენ გვაქვს დოკუმენტი უნივერსიტეტის ბეჭდის დამტკიცების შესახებ – ეს გახლავთ პროფესორთა საბჭოს ოქმი;

რაც შეეხება გერბს, მისი ბლაზონი და დოკუმენტი დამტკიცების შესახებ, არ შემოინახა, თუმცა დაცულია უნივერსიტეტის 1922-23 წლის (და შემდგომდროინდელიც, 1930 წლამდე) გამოცემები, სადაც დაბეჭდილი არის გერბი და მითითებულია, რომ იგი არის „ტფილისის უნივერსიტეტის ღერბი“.

შემდგომ წლებში ამ გერბმა სტილიზება განიცადა. 30-იანი წლების შემდეგ კი ის ამ ფორმით საერთოდ აღარ გვხვდება, რადგან, ჩვეულებრივ, ყველგან საბჭოთა სიმბოლიკას იყენებდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის პირველმა კურსდამთავრებულებმა პროფესორთა საბჭოს მიმართეს თხოვნით, რომ ნება დაერთოთ, უნივერსიტეტის გერბის გამოსახულება გულზე ეტარებინათ. ანუ საუნივერსიტეტო ტრადიციას, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს თავისი უნივერსიტეტის ხსოვნა მისი სიმბოლიკის ტარებით გამოეხატათ, უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებში ჩაეყარა საფუძველი.

— *როდის დაბრუნდა პირველი გერბი და ბეჭედი საუნივერსიტეტო სივრცეში?*

— დედა-შვილი ირმის გამოსახულების სტილიზებული აღდგენის პირველი მცდელობა გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო. ერთ-ერთი ვარიანტი ელგუჯა ამაშუკელმაც შექმნა. იგი ხანდახან უნივერსიტეტის შენობების ფონზეც გამოისახებოდა ხოლმე.

90-იან წლებში, როცა უნივერსიტეტის ავტონომიაზე დაიწყო საუბარი, გაჩნდა იდეა – აღდგენილიყო თავდაპირველი გერბი. მაშინდელმა ახალგაზრდებმა, სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებმა, ამას მიაღწიეს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ სწორედ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ იყო პირველი, რომელმაც აღადგინა შევარდნაძისეული ნამდვილი გერბი და იგი პირველ გვერდზე გაზეთის სახელწოდების გვერდით იბეჭდებოდა.

— *დღეს რა დაედო საფუძვლად უნივერსიტეტის ოფიციალური სიმბოლიკის შექმნასა და დამტკიცებას? რა სამუშაოები მიმდინარეობს ამისთვის?*

— იმის გამო, რომ დღეს ჩვენ არ გვაქვს ოფიციალურად დამტკიცებული სიმბოლიკა, გადაწყდა, რომ გაფორმებულიყო მემორანდუმი ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან და გვეთხოვა მისთვის — შეექმნა დროშების ესკიზი და გაეკეთებინა გერბის ბლაზონი, ანუ აღწერილობა. ჰერალდიკის საბჭო არის ერთადერთი ორგანო, სადაც ამ სფეროს პროფესიონალები მუშაობენ და მადლობა მათ, რომ უსასყიდლო თანამშრომლობაზე დაგვთანხმდნენ.

სანამ ისინი მუშაობას დაიწყებდნენ, ჩვენ საკითხი განვიხილეთ სენატის სხდომაზე, რომელმაც განსაზღვრა, რას უნდა გამოხატავდეს უნივერსიტეტის დროშა, წარმომადგენლობითმა საბჭომ განსაზღვრა და დავალება მისცა მხატვრებს: უნივერსიტეტის დროშა უნდა გამოხატავდეს, რომ „ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ 1918 წელს დაფუძნებული პირველი ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცივილიზებულობის, დემოკრატიულობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოა“. ესკიზებზე მუშაობდა ცნობილი სპეციალისტი, ბატონი მამუკა გონგაძე, რომელიც უამრავ სხვა გერბთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო გერბის ავტორიცაა.

— *რა იქნება გამოსახული უნივერსიტეტის გერბსა და დროშაზე და რა შინაარსობრივი დატვირთვა ექნება მას?*

— მინდა ხაზგასმით გამოვკვეთო ერთი რამ — საუბარი არ არის გერბის ცვლილებაზე. ამაზე ყველა შევთანხმდით, რადგან თუ ჩვენ შევცვლით შევარდნაძისეული გერბის გამოსახულებას, მაშასადამე, ჩვენ უარს ვიტყვით მემკვიდრეობაზე. მე არ მეგულება ადამიანი არც უნივერსიტეტის შიგნით და არც მის გარეთ, რომ ამ გერბზე უარი თქვას, რადგან მისი არსებობით კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს — ჩვენ ვართ უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა საქმის გამგრძელებლები.

ჰერალდიკოსების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება შემოგვთავაზეს — გერბი არ შეიცვლება, ოღონდ შევარდნაძისეული გამოსახულება დაიდება ფარზე (ვინც, ასე თუ ისე, იცის ჰერალდიკა, მან ისიც იცის, რომ გერბი, ეს არის, უპირველესად, ფარი) და დაემატება ერთი ელემენტი (გერბს რამდენიმე შემადგენელი ელემენტი აქვს) — დევიზი (ზონარი გერბის ქვედა ნაწილში), ქართულ-ლათინური წარწერით: „ტფილისის უნივერსიტეტი“ — “ნივერსიტას თფილისენსის” - 1918. ანუ მიეწერება ის, რაც უკვე იყო დატანილი თავდაპირველად ბეჭდის გამოსახულებაზე. ჰერალდიკის პრინციპებიდან გამომდინარე, დევიზად შეიძლება გამოყენებული იყოს სიტყვა, ან ფრაზა, რომელიც გერბის მფლობელის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეიცავს. ამ დევიზით კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი მემკვიდრეობითობას.

ესკიზებზე წარმოდგენილია ფარის ორი ვარიანტი. რაც შეეხება ფერს — ჩვენ უკვე შეჩვეული ვართ ლურჯ ფერს და ამიტომ გერბზეც უცვლელად გვთავაზობენ კვლავ ლურჯ და თეთრ ფერებს, ჰერალდიკაში თეთრი სისუფთავისა და უცოდველობის სიმბოლო, ლურჯი — სილამაზის, სიმსუბუქის, ჭეშმარიტების, შემწყნარებლობისა და სიდიადის სიმბოლო. ოქროსფრად იქნება გამოსახული სიცოცხლის ხე (ოქრო - სიმდიდრის, სამართლიანობისა და დიდსულოვნების სიმბოლოა).

— *უნივერსიტეტის გერბი ცნობილია მისი კურსდამთავრებულებისთვის, მაგრამ დროშა, მართლაც არასოდეს გვქონია...*

— რაც შეეხება დროშას – აქაც რამდენიმე ვარიანტია შემოთავაზებული, კონცეპტუალურად აღებულია ლურჯი ფერი (არსად არაა დაწერილი, რატომაა საუნივერსიტეტო ფერად მიჩნეული ლურჯი, მაგრამ რახან ჩვენს ცნობიერებაში ასეა შემორჩენილი, აქაც ლურჯზე გაკეთდა აქცენტი, თუმცა არის ალტერნატიული ვარიანტიც — თეთრი ფერის დროშის ესკიზებიც) და მასზე დადებულია დიმიტრი შევარდნაძისეული გერბის გამოსახულება. ჰერალდიკოსები გვთავაზობენ, ამ გამოსახულებას ზოლად დაედოს 1918-21 წლის, ანუ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, დროშის ფერები: თეთრი, შავი და მეწამული. ზონარის ტიპის ზოლები ჰერალდიკასა და ვექსილოლოგიაში მიჩნეულია აღმატებულობის სიმბოლოდ, წარმატებისა და განსაკუთრებული პატივის ნიშნად.

ამ ზოლებით ესკიზის ავტორები უპირველესად უპასუხებენ უნივერსიტეტის სენატის ზემოთ ნახსენებ დავალება-შეკვეთას და მიანიშნებენ, რომ უნივერსიტეტი გასულ საუკუნეში, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად, ქართველი ერის დიდი მონაპოვარია და მიანიშნებენ, რომ უნივერსიტეტი და საქართველოს დამოუკიდებლობა განუყოფელია. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ივანე ჯავახიშვილი მაშინდელი საქართველოს გერბისა და დროშის შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ასე რომ, ვფიქრობ, სიმბოლურად საინტერესო და, რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტა შემოგვთავაზეს ესკიზების ავტორებმა — ძალიან მნიშვნელოვანია ამ აქცენტების დანახვა და გააზრება. მივესალმები იმასაც, რომ გერბისა და დროშის ესკიზები საუნივერსიტეტო განხილვის საგნად იქცევა. ყველა გონივრული აზრი და რჩევა იქნება გათვალისწინებული. საბოლოო გადაწყვეტილებას სენატი მიიღებს.

საუნივერსიტეტო საზოგადოებას განსახილველად ვთავაზობთ უნივერსიტეტის დროშისა და გერბის ესკიზებს

მე-16 გვერდზე

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲓᲐ: ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘ �გᲐᲓᲐᲓᲒᲐ. ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘთ, �გᲐᲮᲓᲐ „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲑᲘთ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔგᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲙᲠᲝᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐ, ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲐ, ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲠᲣᲚ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ“. ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲝ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲛᲐᲗ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐ“. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲛᲐ �გᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔგ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ �გᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲐᲛᲦᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ. „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲠᲐ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ — ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲘᲡᲑᲔᲠ�გᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ. ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ �გᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲓᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ �გᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ – ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲓᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ – ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ“, — ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔგᲐᲓ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘ�კᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ �გᲐᲘᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 24 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ �გᲔ�გᲛᲐᲕᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲒᲐᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ, თუმცა თსუ-ის ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ. ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ: ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲣᲚ ᲮᲐᲯᲘᲛᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲛ ᲕᲚᲐᲓᲘᲡᲚᲐᲕ ᲡᲣᲠᲙᲝᲕᲛᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ; ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲫᲘᲐᲞᲨᲘᲞᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲙᲘ „ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ — „ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲥᲘᲨᲛᲐᲠᲘᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ �გᲐᲚᲨᲘ, ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ 26 000 ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲡ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ, ᲠᲐᲪ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ.

ᲠᲐ �გᲐᲮᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲘᲒᲘ ᲘᲜᲡᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲣ ᲨᲘᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ? ᲡᲐᲓ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ? — ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ �გᲐᲡᲪᲐ 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲔᲜ�გᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲛ.

ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ 2008 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲔᲜᲒᲣᲠᲣᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ �პᲘᲠᲐᲓᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲝᲑᲐ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲝᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐ თუ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲔᲜ�გᲔᲚᲘᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲘᲓᲐᲜ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔგ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲛᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ-�გᲐᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲔᲗᲝᲜᲘᲡᲘᲡ �გᲐᲪᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲐ �გᲐᲮᲓᲐ.

„ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ, ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ 46 000 ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ, 60 000 ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, 33 000 ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲓᲐ 35 000 ᲠᲣᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲐᲤᲮᲐᲖ ᲔᲗᲝᲜᲝᲡᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 3300 ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲐ ᲙᲘ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 800. ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲓᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲙᲘ 5000 ᲓᲐ 2500-ᲘᲐ. ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ 50 ᲬᲚᲘᲐ, ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲘ – 70. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘ�კᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲐ. ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲔᲑᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔᲪ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲒᲜᲔᲜ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ 65-70% ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲝᲢᲐᲪᲘᲐᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ, ᲓᲐᲐᲑᲚᲝᲔᲑᲘᲗ, 6 �მილიარდი რუბლი ირიცხებოდა, თუმცა ახლა ეს თანხა შემცირდა და 1 მილიარდ რუბლს შეადგენს. აღნიშნულ დაფინანსებას აფხაზეთი უკვე დაბალ პროცენტიანი, მაგრამ მაინც სესხის სახით იღებს, რაც აფხაზებისთვის დიდი პრობლემაა“, — აღნიშნა ზურაბ შენგელიამ.

რუსეთმა აფხაზეთის მიმართ ზეწოლის ბერკეტების ამოქმედება ბაღაფშის საპრეზიდენტო ვადის ბოლოსა და ალექსანდრე ანქვაბის პრეზიდენტობის დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ გადაწყვიტა, მარეობას ასახავს და ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების მქონე პირების მიერ არ არის გავრცელებული. ზურაბ შენგელიას თქმით, აფხაზეთის დაკარგვიდან 20 წლის შემდეგ კონფლიქტურ ზონაში მცხოვრებმა ეთნიკურად აფხაზმა საზოგადოებამ საქართველოსთან და რუსეთთან დამოკიდებულების გაანალიზება-გადაფასება დაიწყო. ცვლილების მიზეზი აფხაზი ეთნოსის გაქრობის საფრთხე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანდაცვის სისტემის არაეფექტურობა და აფხაზების მიმართ რუსეთის პოლიტიკის გამკაცრება გახდა.

„აფხაზეთში, დემოგრაფიული თვალსაზრისით, ძალიან ცუდი მდგომარეობაა. უკანასკნელი აღრიცხვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე 46 000 ეთნიკურად აფხაზი, 60 000 ეთნიკურად ქართველი, 33 000 სომეხი და 35 000 რუსი ადამიანი ცხოვრობს. აფხაზ ეთნოსში სიკვდილიანობის ყოველწლიური მაჩვენებელი 3300 კაცია, შობადობა კი — მხოლოდ 800. ნარკომანიითა და შიდსით დაავადებულთა რიცხვი კი 5000 და 2500-ია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კაცებს შორის არა უმეტეს 50 წელია, ქალებს შორის კი – 70. ეკონომიკას რაც შეეხება, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა აღიარა, ბიზნესების ძირითადი ნაწილი თავის ხელში მოაქცია. მცირე ბიზნესებიც ცენტრალიზებული გახდა. საზღვარი ყოველთვის იყო გარკვეული ფინანსური შემოსავალი, თუმცა საზღვარზეც რუსები დადგნენ. გარდა ამისა, აფხაზეთის ბიუჯეტის 65-70% რუსეთის დოტაციაა. ამ სახით ბიუჯეტში ყოველ წელს, დაახლოებით, 6 მილიარდი რუბლი ირიცხებოდა, თუმცა ახლა ეს თანხა შემცირდა და 1 მილიარდ რუბლს შეადგენს. აღნიშნულ დაფინანსებას აფხაზეთი უკვე დაბალ პროცენტიანი, მაგრამ მაინც სესხის სახით იღებს, რაც აფხაზებისთვის დიდი პრობლემაა“, — აღნიშნა ზურაბ შენგელიამ.

რუსეთმა აფხაზეთის მიმართ ზეწოლის ბერკეტების ამოქმედება ბაღაფშის საპრეზიდენტო ვადის ბოლოსა და ალექსანდრე ანქვაბის პრეზიდენტობის დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ გადაწყვიტა, რადგან გამოიკვეთა რამდენიმე ტერიტორიულ-ეკონომიკური ხასიათის საკითხი, რომელზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

„2008 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა აღიარა, უფრო მეტად დაიწყო აფხაზების შიდა საქმეებში ჩარევა. ამავე დროს აფხაზები მიხვდნენ, რომ ქართველების მხრიდან საფრთხემ დაიკლო და რუსეთთან დამოკიდებულებაზე ფიქრი დაიწყეს. სტატისტიკური მონაცემებიც, მათი დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ, მერე აღრიცხეს. ეს გახდა რუსეთსა და აფხაზურ საზოგადოებას შორის დაპირისპირების დაწყების საფუძველი. ასევე გამოიკვეთა სამი პრობლემა, რომელზეც ვერ შეთანხმდნენ: მიწის საკუთრების შესახებ კანონი — რუსეთი ითხოვდა, რომ ეთნიკურად რუსეთის მოქალაქეებს თავისუფლად შეძლებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწის შეძენა (ეს ჯერ კიდევ ბაღაფშის პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა). სერიოზული დაპირისპირება იყო სოფელ აიბგასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო სოფელია და რუსებს 16 კვადრატული კილომეტრის მიერთება სურდათ სოჭის ოლიმპიადისთვის გზის გასაყვანად. ამ პერიოდში აფხაზებმა ჩვენ გვთხოვეს დახმარება, რომ მიგვენოდებინა საზღვრის დემარკაციის საბუთები, რომელიც ჩვენთან ინახებოდა. ჩვენ მივაწოდეთ ეს დოკუმენტები და, მართლაც, ოლიმპიადის წინ რუსებმა სიტუაცია აღარ გაამწვავეს. სერიოზული პრობლემა რუსეთის მომდევნო გადაწყვეტილებაც გახდა — მას სურდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე 50 000 რუსი ჩაესახლებინა ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის და შემდგომში მისი ექსპლოატაციისათვის. როდესაც აფხაზების დელეგაცია მოსალაპარაკებლად მიდიოდა მოსკოვში, აფხაზთა უხუცესთა საბჭომ დელ

სამეცნიერო კონფერენცია

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 25-27 ივნისს II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ გაიმართა.

მისი ორგანიზატორები არიან ამავე ფაკულტეტის პროფესორი რევაზ ჯორბენაძე და ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია. გასულ წელს კონფერენცია მიეძღვნა პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის დაბადებიდან 70 წლისთავს, ხოლო წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი მეცნიერის, პროფესორ გიორგი გეხტმანის თაოსნობით ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის დაარსების 90 წლისთავს.

კონფერენციის ძირითადი თემა გახლდათ „ზღვა ინტერდისციპლინურ კონტექსტში“, რომლის მიზანი იყო საზღვაო სანაპირო სივრცის როლის წარმოჩენა სახელმწიფოთა, ხალხთა და კულტურათა პლანეტარული ინტეგრაციის ფონზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ უცხოელი მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, უკრაინიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

კონფერენციის გახსნაზე წარმოდგენილი იყო ფილმი თსუ-ის სტუდენტ ნათია ხუციშვილის *ავტორობით, რომელიც ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის დაარსებას მიეძღვნა.*

მაია ტორაძე

„მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში გრძელდება ის საუკეთესო ტრადიციები, რომელსაც 90 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. ამის დასტურია ეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მრავალი საინტერესო მოხსენებაა წარმოდგენილი. ვფიქრობ, მსგავსი სახის ღონისძიებები საინტერესო იქნება როგორც მეცნიერთათვის, ასევე სტუდენტებისთვის“, — განაცხადა კონფერენციის გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ-ის პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ საკონფერენციო თემის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მსგავსი თემის სამეცნიერო დონეზე განხილვა და ზღვისპირა ქვეყნების გეოპოლიტიკური ხედვების სხვადასხვა ასპექტში წარმოდგენა საინტერესოა როგორც ჩვენი, ასევე მეზობელი ქვეყნების მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისთვის. მან ყურადღება გაამახვილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრის დაარსების მნიშვნელობაზე და იმ წარმატებებზე, რომელსაც ამ კათედრამ და მისმა კურსდამთავრებულებმა მიაღწიეს. „აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა და დღეს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება ჰქვია, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად სწორედ თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიქმნა მსგავსი კათედრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს დარგი ახლაც ვითარდება. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეცნიერებას სტუდენტები დღესაც ინტერესით ეუფლებიან“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ.

კონფერენციაზე ორი დღის განმავლობაში რამდენიმე სექციამ იმუშავა: გლობალიზაცია და რეგიონული კვლევები; ეკონომიკა; საპორტო სისტემები, ტრანსპორტი და რეგიონული განვითარება; საზოგადოებრივი გეოგრაფია, საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკური მეცნიერებები; სოციოლოგია, სემიოტიკა, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები, ფსიქოლოგია. სულ წარმოდგენილი იყო 27 სამეცნიერო მოხსენება.

კონფერენციაზე გამომსვლელთა სამეცნიერო თემატიკა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მათ შორის განსაკუთრებული ინტერესი ხვდა წილად რამდენიმე მათგანს.

კერძოდ, იუჰო კორჰონენმა ბრაუნის უნივერსიტეტიდან (აშშ, პროვიდენსი) წარმოადგინა მოხსენება „ზღვა, როგორც ლიმინალური სივრცე თანამედროვე ქვეყნების ლოგიკურ გააზრებაში“, რომელშიც საინტერესო მონაცემები და კვლევის შედეგები გააცნო მსმენელს.

თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა თამარ დოლბაიამ თავის მოხსენებაში გამოყო „საზღვაო პორტის, როგორც ქალაქწარმომქმნელი ფაქტორის როლი“.

პოლიტიკის დოქტორმა, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა ალექსანდრე წურწუმიამ ისაუბრა „საზღვაო ძალისა და სახმელეთო ძალის დაპირისპირების ძირითად ასპექტებზე“ და მსოფლიოში არსებული ისტორიული ანალოგების ფონზე მიმოიხილა დღევანდელი გეოპოლიტიკა და მისი ფორმირების ახალი ასპექტები. მან საგულისხმო დასკვნა წარმოადგინა: „მიმდინარე მოვლენები გაძლევს საფუძველს, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, რომ სახეზეა ,,ცივი ომი”-ს ახალი ფაზა. ,,რკინის ფარდა” ამჯერად ჩამოეშვა არა შტეტინიდან ტრიესტამდე, არამედ ნარვიდან ქერჩამდე. გადაიწევს თუ არა ის კიდევ უფრო დასავლეთით, დამოკიდებულია დასავლეთის პოლიტიკურ ერთიანობაზე, სწრაფ და ეფექტურ პასუხზე რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე“.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასევე გეოგრაფიის დოქტორის, თსუ-ის პროფესორ იოსებ სალუქვაძის და ეკონომიკის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის გიორგი მელაძის ერთობლივმა კვლევამ „მიგრაციული პროცესები საქართველოში და მისი დემოგრაფიული შედეგები“. მათი მონაცემებით, საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა მიგრაციის მაჩვენებელი, რასაც თავისი წინაპირობა აქვს. მეცნიერთა აზრით ამ პროცესს ხელი შეუწყო საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა ექსტრაორდინარულმა პროცესებმა, უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და დემოგრაფიული სისტემის მნიშვნელოვანმა დეფორმირებამ, რასაც, თავის მხრივ, წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პროცესები — ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, თავს მოხვეული ომები და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება. „მიგრაციულ პროცესებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 2004 წელს, როდესაც 1960 წლიდან პირველად ქვეყანაში, ჩამოსულთა რაოდენობამ 5.5 ათასით გადააჭარბა. 2005 წელს დადებითი გარე მიგრაციული სალდო თითქმის 14-ჯერ გაიზარდა და 76.3 ათასი შეადგინა. აღნიშნული მოვლენა ნაწილობრივ შესაძლებელია აიხსნას იმ ფაქტით, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების გარკვეულ ნაწილს, მიეცათ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ღირსეული დასაქმების იმედი, რის გამოც ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში. სამწუხაროდ, პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა და 2006-2008 წწ. გარემიგრაციული სალდო კვლავ უარყოფითი იყო. ოფიციალური მონაცემებით (2009-2011 წწ.), გარე მიგრაციული სალდო დადებით ნიშნულს დაუბრუნდა, რის შემდგომ იგი კვლავ უარყოფითია გაეროს ექსპერტების შეფასებით, 2005-2010 წწ. ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს შორის, მოსახლეობის მიგრაციული მატების უარყოფითი საშუალო წლიური კოეფიციენტი საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე ყველაზე მაღალი იყო და -11.5-ს შეადგენდა“, — ნათქვამია მოხსენებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა ასევე ინტერესით მოისმინეს და დისკუსია გამართეს თემაზე „საქართველოს ლანდშაფტების შეფასება ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით“ (ავტორები: რ მაისურაძე, ნ. ჯამასპიშვილი, ნ. ბერუჩაშვილი და თ. ხარძიანი), რომელიც მიეძღვნა საქართველოს რესურსული პოტენციალის გამოყენებას და მდგრად განვითარებას. „გარდა ტურისტული ინფრასტრუქტურისა, საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტები შესაძლოა თავისუფლად იქცეს საინტერესო ადგილებად. მათ შეიძლება გააჩნდეთ როგორც სათავგადასავლო, ისე ეკოტურიზმის და შემეცნებითი ტურიზმის სახე. 2012 წელს, ჩვენ მიერ შედგენილი საქართველოს მსხვილმასშტაბიანი რუკის და გეოინფორმაციული სისტემის შედეგად მომზადდა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს მრავალი სახის ინფორმაციას, რომელთაგან მნიშვნელოვანია ლანდშაფტების შეფასება სხვადასხვა თვალსაზრისით. რუკაზე დიფერენცირებულია ლანდშაფტის 1052 ტიპოლოგიური ერთეული, ლანდშაფტის სახეების დონეზე, რომლებიც თავისთავად უფრო მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში ერთიანდებიან. თითოეული აღნიშნული ლანდშაფტის სახე შევაფასეთ მისი ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობის და პოტენციალის მიხედვით. ჩვენ მიერ შედგენილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, ლანდშაფტის 1052 სახე დაჯგუფდა 4 კატეგორიად, მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის და მნიშვნელობის მიხედვით: დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი“. ნაშრომში თითოეული ლანდშაფტი შეფასდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით, გაკეთდა მათი გეოინფორმაციული ანალიზი, შედგა შესაბამისი თემატური რუკა, რომლის დეტალური შედეგებიც წარმოადგინა მეცნიერმა კონფერენციაზე.

პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა ავთანდილ ტუკვაძემ წარმოადგინა მოხსენება: „აშშ-ის, ბრიტანეთის და საქართველოს პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი“, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებების ქცევის მოდელებს და სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკურ კულტურებს. „ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკური კულტურის იმდენივე ტიპზე, რამდენი სახელმწიფო და ერი არსებობს ხუთივე კონტინენტზე, მაგრამ სხვადასხვა ხალხების თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია ბუნებრივად წარმოშობს საერთო ნიშნებს სულიერ კულტურაში, რაც საშუალებას იძლევა კომპარატიული ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ მათი დეფინიცია და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. აშშ-ის, ბრიტანეთის და საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა ფაქტობრივად ნიშნავს სამოქალაქო კულტურისა და ტრანსფორმირების პროცესში მყოფი, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური კულტურის შედარების მცდელობას. ჩემს მოხსენებაში, ერთი მხრივ, შესწავლილია სამოქალაქო კულტურის ზოგადი მახასიათებლების (კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა; კონსტიტუციასთან, პოლიტიკურ სისტემასთან, დემოკრატიულ ინსტიტუტებთან, რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობების მიმართ მოქალაქეების დამოკიდებულებები) მიხედვით დასახელებული ქვეყნების პოლიტიკური კულტურა; მეორე მხრივ, ხაზი ესმება უნივერსალური ღირებულებების გამოვლენის თავისებურებებს აშშ-ს, ბრიტანეთის და საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში.“ კვლევისას მივედით დასკვნამდე, რომ მთლიანობაში, საქართველოს პოლიტიკურ კულტურას დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებთან აშორებს დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ პოლიტიკურ კულტურაში რადიკალური დაპირისპირება“, — აღნიშნა მან.

მსმენელისთვის საინტერესო იყო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორის დალი ოსეფაშვილის მოხსენება: „ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში და ჟურნალისტური ეთიკის პრობლემები“. ავტორს შესწავლილი აქვს 2011-12 წლების ქართული ბეჭდური მედია, გაზეთები: „ალია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „რეზონანსი“, „ვერსია“. „პრაიმტაიმი“, „ახალი თაობა“. „როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ძირითადად არიან ქალები, რომლებიც ფიზიკურ ძალადობას განიცდიან საკუთარი მეუღლეების მხრიდან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც არ ტოვებენ ოჯახებს და გაურბიან ამ თემაზე საუბარს. კვლევის შედეგების მიხედვით, ამ თემის გაშუქების სიხშირე ქართულ მედიაში ძალიან დაბალია და ძირითადად გვხვდება ძალადობასთან ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციული ხასიათის მასალები; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვხვდებით სენსაციური გაშუქების ფაქტებსაც, როდესაც ოჯახური ძალადობის კონკრეტული ფაქტებია წარმოდგენილი და ამგვარი ფაქტების გაშუქებისას არცთუ იშვიათად ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და ილახება ბავშვთა უფლებები — უთითებენ ძალადობის მსხვერპლი ქალისა თუ ბავშვის ვინაობას; ასევე, ადგილსამყოფელს, თუ სად არის მსხვერპლი ქალი, რითაც ჩნდება საშიშროება, რომ მოძალადე ქმარმა მიაკითხოს და კვლავ მოახდინოს მასზე ძალადობა; ჟურნალისტების მხრიდან გვხდება ისეთი სახის შეცდომებიც, როდესაც ცდილობენ მსხვერპლი ქალების დადანაშაულებას; გვხვდება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტებიც და ა.შ.“, — ნათქვამია მოხსენებაში, რომელსაც ასევე ერთვოდა რეკომენდაციები ჟურნალისტებისათვის, თუ როგორ გააშუქონ ეს სენსიტიური და ფაქიზი თემა ეთიკურად და კორექტულად ისე, რომ კიდევ უფრო მეტი ზიანი არ მიაყენონ თვით ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს და არ შელახონ მათი უფლებები.

საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა” 27 ივნისს დასრულდა. სავარაუდოდ, მომავალ წელს კონფერენცია კიდევ უფრო მასშტაბური გახდება.

„ბაირონი ყველასია“

შურთხია ბეროშვილი

21 წლის „მსოფლიო მოქალაქე“ და უდიდესი პოეტი ლორდ ბაირონი საქართველოს „სილამაზის მშობლიურ მხარეს“ უწოდებდა და მის მონახულებაზე ოცნებობდა, მაგრამ მან ეს სურვილი ვერ აისრულა. ორი საუკუნის შემდეგ პოეტის საოცნებო მხარე მისმა შთამომავლებმა მოინახულეს, რომლებიც განსაკუთრებული მისიით ეწვივნენ საქართველოს.

ბაირონის მე-40 საერთაშორისო კონფერენცია — „ბაირონი დედანსა და თარგმანში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასშტაბურად აღინიშნა. ღონისძიებას 20 ქვეყნის 100-მდე დელეგატი დაესწრო, მათ შორის, ინგლისელი პოეტის პირდაპირი შთამომავლები: ლორდ ბაირონი, ლედი ბაირონი, გრაფი ლიტონი და გრაფინია ლიტონი.

„ყველა ქართველისთვის დიდი პატივია, რომ საიუბილეო ღონისძიება საქართველოში იმართება. სკოლის მერხიდან ჩვენ ვეზიარებოდით არა მხოლოდ მის პოეზიას, არამედ, მისი, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლი, შეუპოვარი ადამიანის ნამოღვაწარს. ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ ბაირონს მრისხანე და მოუსვენარ თერგს ადარებდა, მყინვარს კი, როგორც სიბრძნისა და სოლიდურობის სიმბოლოს, — გოეთეს. დიდმა ილიამ სწორედ ეს ორი ფენომენი გააერთიანა: სიბრძნე და შეუპოვრობა — მუდმივი სწრაფვა პროგრესისკენ და თავისუფლებისკენ. ამ ორი ფუნდამენტის საშუალებით გახდა შესაძლებელი თანამედროვე, თავისუფალი მსოფლიოს ფორმირება, სადაც ბაირონის იდეები იქცა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებად და მრავალ ერსა და პიროვნებას გაუკვალა გზა. ილიას და მის თანამოაზრეებს „თერგდალეულებად“ მოიხსენიებდნენ, ამიტომ ჩვენ ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი „ბაირონის საზოგადოება“ სწორედ მაშინ დაარსებულა, ვინაიდან ისინი სწორედ მისი იდეების გამზიარებლები იყვნენ.

დღეს საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ესტუმრნენ ადამიანები, რომლებიც დაკავებულები არიან კეთილშობილური საქმით — ბაირონის იდეებისა თუ მისი მოღვაწეობის პოპულარიზაციით და ამ საუნჯის მსოფლიოს ხალხთან ზიარებით“, — ამ სიტყვებით მიესალმა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელმაც საუბრის ბოლოს დასძინა, რომ იგი ღონისძიებაზე სხვა მისიითაც იმყოფებოდა: „პარლამენტარებიც ვაცხადებთ პრეტენზიას იმაზე, რომ ბაირონი ჩვენც „გვეკუთვნის“, რადგან იგი წარმატებული პარლამენტის წევრი იყო ლორდთა პალატისა. ისტორიამ შემოგვინახა მისი მგზნებარე გამოსვლები, რომლის დროსაც იგი იცავდა ადამიანთა უფლებებს. მაშინ მისი არც ერთი იდეა არ განხორციელებულა პარლამენტის მიერ, მაგრამ გავიდა წლები და დღევანდელი მისი სამშობლო და მთელი მსოფლიოს პროგრესული ნაწილი სწორედ ამ იდეებს ეფუძნება. ეს კონფერენცია იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციისკენ, ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაირონი ყველასია“.

აღსანიშნავია, რომ ბაირონის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 1974 წლიდან იმართება იმ ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს ბაირონის შემოქმედების და მოღვაწეობის საფუძვლიანი კვლევა. თსუ-ის პროფესორის ინესა მერაბიშვილის თაოსნობით 1988 წელს საქართველოშიც დაფუძნდა ბაირონის საზოგადოება, რომელიც 1991 წელს ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ინესა მერაბიშვილის თქმით, ბაირონის შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესის მიუხედავად, თავად პოეტის დამოკიდებულება საქართველოსადმი ცნობილი არ იყო და ამას სწორედ საერთაშორისო კვლევაში ჩართულობამ მოჰფინა ნათელი. ინესა მერაბიშვილი მნიშვნელოვან აღმოჩენამდე სწორედ კვლევის საფუძველზე მივიდა: გამოვლინდა ბაირონის ცხოვრების აქამდე უცნობი ეპიზოდი ქართველ ტყვე ქალთან შეხვედრისა, რაც, შესაძლოა, საფუძვლად დაედო მისი ერთ-ერთი შთამბეჭდავი პოეტური პერსონაჟის შექმნას.

ეს ყოველივე ასახულია ინესა მერაბიშვილის ინგლისურენოვან წიგნში „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და რომლის პრეზენტაცია კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

„მოხარულები ვართ, რომ საქართველო მასპინძლობს „მსოფლიო მოქალაქეს“, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. რომ არა ლორდ ბაირონის პოეზია და ბრძოლა თავისუფლებისთვის საბერძნეთის მიწაზე, არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა ბოლო საუკუნის მანძილზე ევროპული ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა და თავად ისტორია. ჩვენ მივყვებით ბაირონის ნაკვალევს და ასე აღმოვჩნდით საქართველოში, სადაც მისი შემოქმედების აღქმა ჯერ კიდე XIX საუკუნეში დაიწყო“, — აღნიშნა საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტმა, თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორმა, პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა.

„ბაირონს ცნობენ და უყვართ ამ ქვეყანაში, როგორც მის სამშობლოში. ქართველებისთვის სრულიად ბუნებრივი რამაა ბაირონის კითხვა და მისი ნათქვამის ციტირება. ამ დიდი მწერლის შემოქმედება ჩვენი კლასიკური განათლების ნაწილია. მას ეწაფებიან სასწავლებლებში, ლექსებს თარგმნიან და სწავლობენ ზეპირად. საქართველოში თაობები იზრდებიან მის იდეალებზე. ბაირონის ძალა კი მის ქმედებაშია. სწორედ ბაირონისებულმა სწრაფვამ და ხმამაღალმა მოწოდებამ ქმედებისაკენ აღაფრთოვანა ინესა მერაბიშვილი და 25 წლის წინ დააარსა ბაირონის საზოგადოება მათ სასარგებლოდ, ვინც ცდილობს — უფრო მეტად დაუახლოვდეს დასავლურ კულტურას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდხანს დაშვებული რკინის ფარდა აიხადა.

ამ ბაირონისეული მოწოდების ყველაზე მძლავრი ფაქტია თბილისში ბაირონის სკოლის არსებობა. ჩვენი ბავშვები სწავლობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და გვასახელებენ“, — აღნიშნა პროფესორმა ნუგზარ რუხაძემ.

კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლი მიესალმნენ. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ინგლისელი პოეტის შთამომავლების ემოციური გამოსვლა, რომლებმაც თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას:

„საქართველოში ჩამოსვლით ძალიან გახარებული ვარ. ვცდილობ, საქართველო დავინახო ჩემი დიდი წინაპრის თვალებით — მე ხომ ტყვე ვარ იმ გენეტიკური კოდისა, რომელიც, როგორც მის შთამომავალს, გამაჩნია. ჩემი გადასახედიდან, ეს გახლავთ შთამბეჭდავი ქვეყანა, რომელიც გართხმულია დიდი კავკასიონის ქედის ქვეშ და გადაჭიმულია ორ ზღვას შორის. ეს არის ქვეყანა, რომელიც დღეს განვითარების გარდამავალ ეტაპზეა — ერთი მხრივ, მოწყვლადი, მეორე მხრივ, ძალიან დიდი პერსპექტივის მქონე. მითოლოგიის მიხედვით, ალბათ, ღმერთსაც კი დაუდგამს ფეხი ამ მიწაზე, რომელიც თავისთვის ჰქონდა შემონახული. ბაირონმა, ალბათ, იცოდა ამის შესახებ და დარწმუნებული ვარ, აღფრთოვანდებოდა იმ დიდი ტრადიციებით, რომელიც ამ მხარეს გააჩნია, რომ არაფერი ვთქვათ მშვენიერ ქართველ ქალებზე, ღვინოსა და მეგობრობის განსაკუთრებულ უნარზე. მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ ინესა მერაბიშვილს, რათა შესაძლებლობა მოგვეცა უფრო ახლოს გაგვეცნო საქართველო“, — აღნიშნა ინგლისის ლორდთა პალატის წარმომადგენელმა ჯონ ლიტონმა.

„ჩემთვის დიდი სიამოვნებაა დღეს თქვენს შორის ყოფნა. ბაირონმა ვერ აიხდინა ოცნება — ჩამოსულიყო საქართველოში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ენახა ეს მხარე, პუშკინის სიტყვებს გაიმეორებდა: „ამ ქვეყანაში მეორედ დავიბადეო“. ბაირონი საერთაშორისო ასპარეზზე, დიდწილად, ცნობილი იყო, როგორც რადიკალური, პოლიტიკურად მეამბოხე ადამიანი. მაგრამ დღეს ჩვენ უნდა ვისაუბროთ მასზე, როგორც დიდ მწერალსა და მოაზროვნეზე. მინდა, ჩემი კოლეგების სახელით, მადლობა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ ინესა მერაბიშვილს და მეც გავიმეორო პუშკინის სიტყვები“, — ასე მიმართა დამსწრე საზოგადოებას ლორდ ბაირონმა.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის დაწყებამდე ბაირონის შთამომავლები საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო, დალოცა და მათ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით მიესალმა.

კონფერენციის მონაწილეებმა 6 დღის განმავლობაში 43 მოხსენება წაიკითხეს.

კონფერენციის დასრულების შემდეგ კი მათ კახეთი, მცხეთა და გორი მოინახულეს.

საქველმოქმედო აქცია ბედიანის ბავშვთა ცენტრში

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მორიგი საქველმოქმედო აქცია სოფელ ბედიანის ბავშვთა ცენტრისთვის გამართა. სტუდენტები მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საკვები პროდუქტით, ტანსაცმლითა და წიგნებით დაეხმარნენ. საქველმოქმედო აქციას სპონსორობა საცხობების ქსელმა „ანტრემ“, „ნილიმ“ და გამომცემლობა „ინტელექტმა“ გაუწიეს.

„ვცდილობთ, რომ ყოველ სემესტრში ორი-სამი საქველმოქმედო ღონისძიება გავმართოთ. ამჯერად ბედიანის ბავშვთა ცენტრის დახმარება გადავწყვიტეთ. აქცია კულტურულ ღონისძიებასაც მოიცავს პატარების გამხიარულებისა და მათი ყოველდღიურობის გამრავალფეროვნების მიზნით“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანა ღვინჯილიამ.

თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ბედიანის ბავშვთა სახლის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემიდან — „იმედის გმირები“ შეიტყო. ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად ხაფავა აღნიშნული ტელე-პროექტის მონაწილე და გამარჯვებულია. მან მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან მუშაობა 18 წლის ასაკში „ძეგვის ბავშვთა სახლში“ დაიწყო. 1999 წლიდან კი აღსაზრდელები, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, სოფელ ბედიანში გადაიყვანა. ამ დროისთვის, ბედიანის ბავშვთა ცენტრში, ზვიად ხაფავას მზრუნველობის ქვეშ 14 აღსაზრდელია. ცენტრის მფლობელობაში 4 საცხოვრებელი სახლია, სადაც ბავშვები აღმზრდელებთან ერთად ცხოვრობენ. ეს ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს ბავშვები ოჯახურ გარემოში აღზარდოს.

ბედიანის ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელები სოფლის საჯარო სკოლაში სწავლობენ, დადიან მდინარეზე საბანაოდ და სათევზაოდ, თამაშობენ ფეხბურთს. ამ სოფელში მათ გარემოსთან კონტაქტის უფრო მეტი საშუალება აქვთ, ვიდრე სოფელ ძეგვში. გარდა ამისა, ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად ხაფავა მათთვის ხშირად აწყობს გასვლით ღონისძიებებს თბილისში (კინოსა თუ თეატრში), საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უწევს ორგანიზებას ექსკურსიებს, რაც მზრუნველობამოკლებული ბავშვების განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. სირთულეს მხოლოდ დაფინანსება ქმნის. ბავშვთა ცენტრს საკვებითა და ჰიგიენური საშუალებებით, ძირითადად, ეკლესია უზრუნველყოფს, ხანდახან ქველმოქმედებას სხვადასხვა ორგანიზაციებიდანაც იღებენ. თუმცა დანარჩენი საჭიროებებისთვის ფინანსების მოძიება აუცილებელი ხდება, რისთვისაც ბევრი ბარიერის გადალახვა უწევთ — ხშირად მათთან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და თანამდებობის პირებიც ჩადიან.

ბავშვებისთვის საინტერესო იყო თსუ-ის სტუდენტების სტუმრობაც — მათთან ერთად ფეხბურთის თამაში, საუბარი, გიტარასა და ფანდურზე შესრულებული სიმღერები, სეირნობა... რამდენიმეს უკვე გადაწყვეტილიც აქვს პროფესიონალ სპორტსმენად ჩამოყალიბება.

ბედიანის ბავშვთა ცენტრიდან რამდენიმე ბავშვი უკვე სტუდენტია. რამდენიმე მათგანი უკვე დაეუფლა სპეციალობას და თავისი პროფესიით მუშაობას. ერთ-ერთი მათგანი კი მეურნეობით დაინტერესდა და სოფელში უკვე პატარა ფერმაც გააშენა. ცენტრის ხელმძღვანელი ცდილობს, ყველა მათგანს ხელი შეუწყოს, რომ მათ საკუთარი ინტერესები გააფართოონ და განვითარდნენ.

ამ დროისთვის ბედიანში კიდევ ერთი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს.

„სახლის აშენებაში მათ დახმარება სჭირდებათ. ჩვენ მაქსიმალურად გავავრცელებთ ამ ინფორმაციას სტუდენტებში. თუ ვინმე გამოთქვამს მოხალისეობის სურვილს, 7-10 დღის განმავლობაში ბედიანში იცხოვრებს და ცენტრის თანამშრომლებს დაეხმარება. ამ ბავშვებს სჭირდებათ მზრუნველობა და ჩვენ მიერ განხორციელებული მსგავსი აქტივობები მათთვის სასარგებლო იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ ბახვა კვირიკაშვილმა.

საზაფხულო დასვენების პერიოდში ბედიანის ბავშვთა ცენტრში ჩასვლას რამდენიმე სტუდენტიც გეგმავს. გოგონები ცენტრის თანამშრომლებს საოჯახო საქმეებში დაეხმარებიან.

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო შეიქმნა

6 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანებია ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ახალგაზრდა მეცნიერთა კონტაქტების დამყარება და გაფართოება, სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შემადგენლობა: ზეზვა ასანიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი), ზურაბ ბარათაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის მეცნიერი თანამშრომელი), ვლადიმერ ბარამიძე (აგრარული უნივერსიტეტის ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი), ლელა გიგლემიანი (თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი), გიორგი ვეშაპიძე (ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკის დოქტორი), გიორგი კაჭახიძე (კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ექიმი-კარდიოლოგი), გიორგი მეძმარიაშვილი (სტუ ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინჟინერიის დოქტორი), იმედა რუბაშვილი (თსუ-ის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), თამარ სუბატაშვილი (სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი), ალექსანდრე სხირტლაძე (თსსუ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), ტეტუნაშვილი თენგიზ (თსუ-ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მკვლევარი, სტუ ასოცირებული პროფესორი, მათემატიკის დოქტორი), მარინე ტურაშვილი (შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი), ლალი ყრუაშვილი (ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ქცევისა და კოგნიტურ ფუნქციათა ლაბორატორიის ლაბორანტი, დოქტორანტი), მარინე შავლაყაძე (სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი), ანა ჩუტკერაშვილი (სტუ არჩ. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), ვახტანგ ჭარაია (თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი), ლევან ჯიქია (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. „ქართული უნივერსიტეტი“, ისტორიის დოქტორი).

ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო მუშაობაში ჩააბამს მთელი საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერებს, წარმოაჩენს მათი კვლევის შედეგებს, რაც ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

კომენტარი

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი:

— ერთი კვირის წინ ჩავატარეთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც შევიტანეთ საკითხი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შექმნის შესახებ. საქმე ისაა, რომ საკმაოდ უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული ახალგაზრდა მეცნიერები, 35-40 წლის ასაკის განათლებული ადამიანები, არადა, ბევრი ძალიან შემოქმედებით საქმეს აკეთებს, საინტერესო კვლევები აქვთ, როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ; მიდიან უცხოეთში, იქ კითხულობენ ლექციებს; აქვთ საინტერესო მასალები და ა.შ. საგულისხმოა ისიც, რომ დოქტორანტების ნაშრომების უმეტესობა ყურადღების გარეშე რჩება... აი, ამ ყველაფერს როგორმე კოორდინაცია უნდა გაუწიოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ. ძირითადად, საბჭო შეიქმნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისგან, მაგრამ აუცილებელია მთელი საქართველოს უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების ახალგაზრდობის ჩართვა.

60-70-იან წლებში არსებობდა მსგავსი საბჭო, რომელმაც თავისი დადებითი როლი შეასრულა. საბჭოში ახალგაზრდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამყარებდნენ საქმიან კავშირებს, ეცნობოდნენ ერთმანეთის ნამუშევრებს, იხილავდნენ საინტერესო მასალებს, საუბრები ჰქონდათ გამოჩენილ მეცნიერებთან, ტარდებოდა ღონისძიებები, მათ შორის კულტურული ხასიათისაც.

დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება; აი, ჩვენ უნდა შევძლოთ და ახალგაზრდებს თავისუფალი დრო რაციონალურად გამოვაყენებინოთ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის თავზე იღებს ამ ფუნქციას და ბოლომდე მიჰყვება ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მით უმეტეს, რომ კურთხევა გვაქვს ჩვენი პატრიარქისგან, უწმიდესმა ძალიან მოიწონა ეს იდეა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ერთბაშად შეიცვლება ყველაფერი, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადავდგით და ეს უკვე კარგი დასაწყისია.

მოგეხსენებათ, რომ მეცნიერებისთვის აუცილებელი პირობაა მატერიალური რესურსები. ჩვენს დებულებაში პირდაპირ გვიწერია, რომ უნდა ვიმუშაოთ გრანტების მოზიდვაზე, გავიდეთ სხვადასხვა ფონდზე და ახალგაზრდების ნაშრომების დასაფინანსებლად გამოვძებნოთ რესურსები. მოხარული ვართ, რომ უმაღლესი სასწავლებლები ენთუზიაზმით შეხვდნენ აკადემიის იდეას და ფიქრობენ, რომ ძალიან გაამართლებს. ჩვენც ზუსტად ასეთივე პოზიტიური და ოპტიმისტური განწყობა გვაქვს.

ირაკლი კოვზანაძის და გოგი კონტრიძის წიგნის — „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ პრეზენტაცია

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორების ირაკლი კოვზანაძის და გოგი კონტრიძის წიგნის — „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ პრეზენტაცია.

548 გვერდიანი წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ეკონომიკური პროფილის სხვა მიმართულებების მაგისტრებისათვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. სახელმძღვანელო ასევე დაეხმარება მეცნიერ-მკვლევარებს, ეკონომისტებსა და პრაქტიკოს ბანკირებს გაიღრმავონ ცოდნა საბანკო საქმეში.

ირაკლი კოვზანაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ წიგნის დაწერის აუცილებლობა მას და მის კოლეგას მრავალწლიანმა საბანკო პრაქტიკამ და პედაგოგიურმა გამოცდილებამ უკარნახა. „ნაშრომი ეფუძნება საბანკო საქმიანობის საერთაშორისო და სამამულო გამოცდილებას. მასში საბანკო კანონმდებლობის ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხილულია საბანკო საქმის კონკრეტული მაგალითები როგორც საქართველოს შემთხვევაში, ასევე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკიდან“, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელიც პრეზენტაციას ესწრებოდა ხაზი გაუსვა წიგნის მნიშვნელობას. „წიგნი ავტორების პირად გამოცდილებაზეა დამყარებული და ძალიან საინტერესო სახელმძღვანელოა, რომელიც თეორიული კურსის გარდა ზუსტად ასახავს ქართულ საბანკო რეალობას“.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა წიგნის ავტორებს მიულოცა სახელმძღვანელოს გამოცემა. „წიგნში მოცემულია საბანკო სისტემის ღრმა ანალიზი და გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, რომ აქამდე არ არსებობდა ქართულენოვანი სახელმძღვანელო ამ სფეროში, რაც პედაგოგებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში პრობლემებს უქმნიდა. აღნიშნული გამოცემა კი ამ ხარვეზს სრულად აღმოფხვრის“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ავტორების მიხედვით, დროთა განმავლობაში სახელმძღვანელოში ინფორმაცია განახლდება და იგი ხელახლა გამოიცემა. იმისთვის, რომ ყველა სტუდენტს და დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს იხელმძღვანელოს ამ გამოცემით, ავტორები წიგნის ელექტრონულ ვერსიას განათავსებენ ვებ გვერდზე და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ინტერნეტში გაეცნონ და ჩამოტვირთონ იგი.

ავტორების შესახებ

ირაკლი კოვზანაძე — საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; თსუ-ის ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის გამგე. გამოცემული აქვს 6 მონოგრაფია და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკასა და ეკონომიკაში საქართველოსა და საზღვარგარეთ; აქვს საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ევროპის საბანკო სისტემებში მმართველობით თანამდებობებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება.

გოგი კონტრიძე — არის ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; აქვს საბანკო-საფინანსო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციებზე; არის ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

წიგნის თარო

„ომი ქალის მეხსიერებაში"

„ისტორია, როგორც ასეთი, არ არსებობს;
არსებობს მხოლოდ ბიოგრაფიები."

რალფ ემერსონი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ფილოლოგიის დოქტორის ნინო პოპიაშვილის წიგნის — „ომი ქალის მეხსიერებაში" პრეზენტაციას, რომელიც უნივერსიტეტში გაიმართა, ქართულ-ოსური ურთიერთობების გულშემატკივრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

აღინიშნა, რომ წიგნი, რომელიც კონფლიქტის თვითმხილველთა ზეპირი ისტორიების მიხედვით მომზადდა, საინტერესო მასალას წარმოადგენს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის, ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევრებისთვის, კონფლიქტოლოგებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ეთნოლოგებისთვის, გენდეროლოგებისთვის, ჟურნალისტებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და, ზოგადად, მკითხველთა ფართო წრისთვის – ამ ფრაზების სისწორეში წიგნის წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რადგან სრულიად განსხვავებულად დაინახავთ 90-იანი წლების ეთნიკურ კონფლიქტებს და მათ რეალურ ბუნებას.

საქართველოში 249 365 ათასი დევნილი ცხოვრობს. არავის დაუზუსტებია, 90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისა და საზოგადოების დამოკიდებულების გამო რამდენი ადამიანი გახდა იძულებული — საქართველო დაეტოვებინა.

ის ფაქტი, რომ დღემდე ზუსტი სტატისტიკაც კი არ გვაქვს ეთნიკური წარმომავლობის გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა, აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში ორივე მხრიდან დაღუპული, სარჩოდაკარგული ადამიანების რაოდენობის შესახებ, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს საზოგადოებას კვლავ არ გაუანალიზებია მოვლენები, რომლებმაც ასობით ათასი ადამიანის ცხოვრება დაანგრია და დღემდე სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით.

ნინო პოპიაშვილის წიგნის — „ომი ქალის მეხსიერებაში" მთავარი დამსახურება სწორედ ის არის, რომ ეთნიკური ნიშნით დევნილ ადამიანთა მონათხრობში ისტორიული სიმართლე ჟღერს, რომლის შესახებ ჩვენში თითქმის არ ლაპარაკობენ: ვდევნიდით არაქართველობის გამო და გვდევნიდნენ ქართველობის გამო!

„ორი კვირა გავიდა, ორ წელიწადზე უფრო გრძელი ორი კვირა. ცხედარს არ იძლევიან, არანაირ ფასად არ იძლევიან. მერე უკიდურეს ზომას მიმართეს მაირბეგის (მოკლულის) თანაკლასელებმა: დაატყვევეს იმათიანი, ქართველი ბიჭი და ახლა კი გაუცვალეს ცოცხალი მკვდარში. ჩამოიტანეს, თვითონ ჩამოიტანეს ალყაშემორტყმული ცხინვალის კარიბჭესთან", – 1991 წლის 20 ნოემბერი. ფრაგმენტი მწერალი და მთარგმნელი ქალის — მერი ცხოვრებოვას დღიურიდან.

„ჩემი ორი ძმა თბილისში ცხოვრობდა. მათ ურეკავდნენ და აშინებდნენ: ჯერ კიდევ არ წაეთრიეთ აქედან? თქვენ რა გინდათ საქართველოშიო. მათ ქართველი ცოლები ჰყავდათ, მაგრამ ეს ის ხალხი იყო, ვისაც ჩემი ძმების სახლების ხელში ჩაგდება უნდოდათ და ამიტომ ურეკავდნენ. მაშინდელი მთავრობა კი ხელს არ უშლიდა ასეთი საქმეების კეთებას.

ერთხელ ჩემს სახლშიც მოვიდნენ. მაშინ ასეთ ხალხს არაფორმალებს ეძახდნენ, ზვიადის დაცვის ხალხი, მათი გარემოცვა. შემოვიდნენ სამნი, ერთი წვერებიანი იყო, მერე მითხრეს, რომ აფხაზეთში დაიღუპაო... მე მეუბნებოდა, შე მოღალატე ოსოო, ახლა ჩვენ წაგიყვანთ უზენაეს საბჭოში, მერე იქიდან გაგცვლით ტყვეებშიო, შემაგდეს აბაზანაში, რევოლვერი აიღო და მემუქრებოდა, მე მეშინოდა და გარეთ გაქცევა მინდოდა, ერთ-ერთმა დამიჭირა და უკან შემომაგდო, მეორემ კი იარაღი მესროლა და ტყვია ხელში მომხვდა", – ფრაგმენტი ეთნოგრაფ აზა კოკოევას მონათხრობიდან, რომელიც იმ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა.

ნინო პოპიაშვილის წიგნში სულ ექვსი თვითმხილველის მონათხრობია შესული 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. ყველა მათგანი ქალია, შერეული ოჯახებიდან (ნაწილი ოსური, ნაწილიც ქართული გვარებით). თითოეული მათგანის ბიოგრაფია უშუალო კავშირშია ცხინვალთან, ამავე დროს ყველა ინტერვიუ ერთი პრინციპით არის აგებული: ინტერვიუერ ქალთა ცხოვრება და მოგონებები კონფლიქტამდე, კონფლიქტის პერიოდში და კონფლიქტის შემდგომ.

მასალები, რომელიც წიგნშია შესული, 2003 წელს მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა პროგრამის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც პირადი კონტაქტების გამოყენებით ჯერ კიდევ შეიძლებოდა ცხინვალში შეღწევა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ნებისმიერი ტიპის კონტაქტი ცხინვალსა და დანარჩენ საქართველოს შორის უკვე შეუძლებელი გახდა. სწორედ ამ ფაქტმა გადააწყვეტინა ნინო პოპიაშვილს 2003 წელს შეკრებილი მასალები წიგნად გამოეცა.

* * *

ნინო პოპიაშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი:

— 2003 წელს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ცხინვალში შესვლა და მუშაობა. ჩემი რესპონდენტები შევარჩიე ცხინვალიდან და თბილისიდან. წიგნში ქართველი, ოსი და შერეული ოჯახების წარმომადგენელი ქალების მონათხრობია, რომლებიც იხსენებენ 90-იანი წლების ქართულ-ოსურ კონფლიქტს. მე ჩავიწერე ქალები და, ამასთან ერთად, მქონდა საშუალება, რომ გამომეკვლია — რა იწერებოდა ამ პერიოდში ქართულ-ოსურ კონფლიქტზე როგორც ქართულ, ისე ოსურ პრესაში. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ზეპირი ისტორიები მნიშვნელოვანი მეთოდია — აღვადგინოთ ისტორია, რომელიც, თითქოსდა, მხოლოდ მშრალი ფაქტების ერთობლიობაა.

ზეპირი ისტორიები, როგორც ცალკე მეთოდი, მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გააქტიურდა მეცნიერებაში. ეს მეთოდი გულისხმობს თვითმხილველთა გადმოცემებს მომხდარი ამბების შესახებ. ამავე დროს, მიჩნეულია, რომ ქალი კიდევ უფრო ღრმად, შთამბეჭდავად, ემოციურად განიცდის და გადმოსცემს ამ ყველაფერს. ისინი საინტერესო მთხრობელები არიან. ამიტომაც, ქალთა ზეპირი ისტორიები შეიძლება საინტერესო წყარო იყოს მომავლისთვის.

ეს ნაშრომი უფრო ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კვლევაა, რადგან ამ ისტორიებს არანაირი პრეტენზია არ აქვთ უტყუარობასა და ჭეშმარიტებაზე, ეს არის კონკრეტული ადამიანების შთაბეჭდილებები. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი იყო იმ პერიოდში ცხინვალის ოსური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და ამ სკოლის დირექტორი ტორეს კულუმბეგოვი, ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის" დამაარსებელი და ოსთა მოძრაობის პირველი ლიდერი. ეს ქალბატონი იხსენებს: როგორ ცხოვრობდა სკოლა, როგორ ტარდებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, რა ურთიერთობა ჰქონდა დირექტორს ამ საგნის მასწავლებლებთან, როგორ შეწყდა სკოლაში ამ საგნის სწავლება. 1991 წლის ზამთარში, როდესაც ბლოკადის პერიოდი იყო და გზა ჩაიკეტა რუსეთიდან (ჩრდილო ოსეთიდან და ქართველებიდანაც), ეს ქალბატონი ცხინვალში ცხოვრობდა და საკმაოდ საინტერესოდ აღწერს ამ პერიოდს. ასევე თვითმხილველი მერი ცხოვრებოვა იხსენებს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში 23 ნოემბრის მსვლელობას თბილისიდან ცხინვალისკენ. ქალბატონი მერი ამბობს: „ამდენი ხალხი „ფეხად" ვერ დაეტეოდა ცხინვალში". მაშინ რუსის ჯარი ჩადგა ქართველებსა და ოსებს შორის, რის შემდეგაც ქართველებმა ცალკე გამართეს მიტინგი, ოსებმა — ცალკე და ამ მიტინგების შესახებ ცალკე მოგონებები არსებობს უშუალოდ იმ ადამიანებისა, ვინც იქ იმყოფებოდა.

წიგნში შესულია დედაჩემის — ნაირა ბეპიევას მონათხრობიც.

საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი, რომ არ ღირდა ამ მტკივნეული ისტორიების გამოქვეყნება, მით უმეტეს, რომ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" პროექტის ფარგლებში ჩემი სამუშაო შესრულებული მქონდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად დგებოდა ამ ტიპის კვლევების საჭიროება: ჩვენს თვალწინ ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც გვახსოვს, მაგრამ ეს თუ არ დაფიქსირდა, მომავალი თაობისათვის ბევრი რამ კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგება.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

შემეცნებითი ვიქტორინა

თამარ დადიანი

სტუდენტური ფუსფუსი იგრძნობოდა 20 ივნისს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში, სადაც თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებული შემეცნებითი კლუბის ეგიდით „შემეცნებითი ვიქტორინა" გაიმართა.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად, ელექტრონული რეგისტრაცია გაიარა სტუდენტებისგან შემდგარმა 10 გუნდმა, თუმცა მონაწილეობა მხოლოდ 6-მა გუნდმა მიიღო. თითოეული გუნდი 5 მონაწილესგან შედგებოდა.

ვიქტორინაზე გამოვლინდა საპრიზო ადგილზე გასული 3 გუნდი. გუნდის თითოეულ წევრს ნამახალისებელი პრიზი გადაეცა. პირველ ადგილზე გავიდა გუნდი: „dead student's society", II ადგილზე — გუნდი „ბრაზილია", ხოლო III ადგილი გუნდმა „გრუზინებმა" დაიკავა.

„შემეცნებითი კლუბის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში ხშირად ვღებულობ მონაწილეობას და მგონია, რომ იგი საკუთარი თავის უკეთ შეცნობასა და შეფასებაში მეხმარება. ასევე კარგი სტიმულია ცოდნის გასაღრმავებლად და თვალსაწიერის გასაფართოებლად", — განაცხადა ვიქტორინის ერთ-ერთმა მონაწილემ ლედი ჯალაღონიამ.

„შემეცნებითი კლუბი" წარმოადგენს თსუ-ის სტუდენტური ჯგუფისა და თსუ-ის ბიბლიოთეკის ერთობლივ პროექტს. კლუბი ერთი წელია, რაც არსებობს, და როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, მათ უკვე არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელეს. კლუბის წევრები არიან თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები: ნიკა ბარამიძე, პავლე ჯაგუნავა, თათუ ვარდოშვილი, ბექა კვაჭაძე, სოფო მეგრელი, თემურ ცაგარეიშვილი და სხვა.

„ჩვენ, პროექტის ფარგლებში, საზოგადოებას თანამედროვე მწერალთა შემოქმედებას ვაცნობთ, ვაწყობთ წიგნების პრეზენტაციებს და სტუდენტებისთვის მრავალ საინტერესო აქტივობებს ვახორციელებთ. მაგალითად, ჩვენი წინა ღონისძიება მწერალ დავით ტურაშვილის წიგნის პრეზენტაციას ეხებოდა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია საქველმოქმედო პროექტი, რომლის მეშვეობითაც ბავშვთა სახლს — „მომავლის გზას" დავეხმარეთ. ხშირად ვაწყობთ პოეზიის საღამოებს, დისკუსიებს და სხვადასხვა სახის შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან. აღსანიშნავია ირაკლი ჩარკვიანის საღამო, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რაც შეეხება მხარდაჭერას, თსუ-ის PR დეპარტამენტი ყოველთვის მხარში გვიდგას, ხოლო თსუ-ის ბიბლიოთეკა საუკეთესო მოთამაშეს წიგნებით აჯილდოვებს. ჩვენი მხარდამჭერია ასევე გამომცემლობა „ინტელექტი", რომელიც აქტიურად არის ჩართული ჩვენს პროექტებში, იგი დღეს გამარჯვებულ გუნდს წიგნებით დააჯილდოებს", — განაცხადა კლუბის ხელმძღვანელმა ლუკა კარკაძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებული „შემეცნებითი კლუბი" მომავალი სასწავლო წლიდან თსუ-ის სტუდენტებს, საინტერესო კონფერენციებისა და პოეზიის საღამოების ორგანიზებასა და გამართვას პირდება.

მედიაც იმ პროცესებს გადის, რასაც ქვეყანა

— თქვენი მოხსენება და კვლევის თემა მედიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს შეეხება. რა ტენდენციები იკვეთება დღეისთვის ამ მიმართულებით?

— ეს არის მედიისა და პოლიტიკის კორელაციის თემა, სადაც იკვეთება თანამედროვე პოლიტიკური პროცესების თავისებურება. დღეს გლობალურ სამყაროში ძალაუფლების მოპოვება, ძირითადად, ნიშნებითა და სიმბოლოებით ხასიათდება. შესაბამისად, სიმბოლოს უდიდესი დატვირთვა აქვს და არც ქართული მედია და პოლიტიკური სივრცეა ამისგან დაცლილი. კონკრეტული ნიმუშების განხილვით, მათი განზოგადებით, სემიოლოგიური ანალიზით, დესკრიფციის მეთოდის გამოყენებით ხდება კრიტიკული ათვისება და დაკვირვება ვიზუალურ მედიაზე.

— დღევანდელ ქართულ მედიასივრცეზე რას იტყოდით?

— მედიის ძალმოსილებაზე საუბარი უკვე კლიშედ იქცა, მართლაც ასეა: მეოთხე ხელისუფლების მეტაფორას ვიყენებთ, მაგრამ მედია უკვე თვითონ არის ინსპირატორი ყველაფრისა და რეალურად მისი ძალმოსილება და გავლენა უზარმაზარია. რაგინდ წარმატებული პოლიტიკოსიც უნდა იყოს, თუ მას არ მიეცა მედიაში პოზიციონირების საშუალება, იგი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ცნობილ ამერიკელ რესპუბლიკელს ნუთ გინგრიჩს დავესესხები და ვიტყვი, რომ თუ ,,ვაშინგტონ პოსტში" არ ხარ, ესე იგი, არ არსებობ". არა აქვს მნიშვნელობა — კარგი კუთხით გაშუქებს მედია თუ ცუდით. შეიძლება ითქვას, რომ მედიამ მოკლა, ჩაანაცვლა რეალობა და დღეს ჩვენ ვართ მედიის მიერ შექმნილი რეალობის ტყვეობაში.

— რას ასწავლით მომავალ ჟურნალისტებს?

— მომავალ ჟურნალისტებს ვეუბნებით: როდესაც მივლენ მედიაში, შეეცადონ — მედიამ ისინი არ შეცვალოს, რაც ძალიან რთული ამოცანაა. მე ვასწავლი ჟურნალისტიკის შესავალ კურსს — ეს იმას ნიშნავს, რომ ვაცნობ სტუდენტებს ჟურნალისტიკას, როგორც მეცნიერებას, როგორც პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროს. ძალიან საპასუხისმგებლოა შესავლის კურსი, რამდენადაც ეს არის კარის გახსნა მომავალ პროფესიაში და შენზეა დამოკიდებული, როგორი შთაბეჭდილება შეექმნება ამ პროფესიისა და მეცნიერების შესახებ ახალგაზრდას.

— დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ჟურნალისტიკა მეცნიერება. ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი მოსაზრება?

— რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკა მეცნიერებაა. რეალურად კი ეს არის პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო და აქეთკენაც მიდის ტენდენცია. ძალიან ბევრი სკეპტიკური თვალსაზრისი მსმენია იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალისტიკა მეცნიერებად ვერ ჩაითვლება. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტიკა მეცნიერებაც არის და პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროც, გააჩნია, შენ როგორ შეძლებ მათ მორიგებას და ჰარმონიზებას?! მკვლევარის ოსტატობაზეა დამოკიდებული ყველაფერი: არც ის ვარგა, რომ ადამიანი მხოლოდ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დააუფლო და არ იცოდეს ამ სპეციალობის ანბანი და საფუძვლები, და პირიქით, არც თეორიაში ჩარჩენილი ადამიანი ვარგა, რომელსაც არ აქვს პრაქტიკული უნარები: იგი უკვე ხელფეხშეკრულია – იცის რა პროფესიაა, მაგრამ ვერ მისდევს ამ პროფესიას და ვერ ახორციელებს მას ცხოვრებაში. შესაბამისად, დღევანდელი უმაღლესი განათლების სისტემისა და ბაკალავრიატის მისია და მიზანი ის არის, რომ შეძლოს თეორიისა და პრაქტიკის დაახლოება ისე, რომ ჟურნალისტი მოამზადოს მომავალი საქმისთვის. რამდენად ახერხებს ამას, ეს სხვა თემაა.

— ჟურნალისტმა ამა თუ იმ მოვლენის ობიექტური და კვალიფიციური განსაზღვრა რომ შეძლოს, მას ძალიან ფართო ცოდნა ესაჭიროება. რას ვაძლევთ ამ თვალსაზრისით მომავალ ჟურნალისტებს?

— დღევანდელი სისტემის პირობებში სტუდენტს აქვს არჩევანის უფლება. მას შეუძლია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიოს საგნები და გაიაროს ეს კურსები. საერთოდ, ჩვენს სტუდენტებს ხშირად საკმაოდ სამართლიანი პრეტენზიები აქვთ საგანმანათლებლო პროცესის მისამართით, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ნაკლებ

როდესაც პრაქტიკოსი ჟურნალისტი მედიის მკვლევარს ხვდება, გუნებრივია, საუბრის თემა ჟურნალისტიკა იქნება. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს მანანა შამილიშვილს უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობისას შევხვდით, რომელიც ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულების დაარსების 90-ე წლისთავს ეძღვნებოდა. მანანა შამილიშვილი კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი და ერთ-ერთი მომხსენებელიც იყო. მოხსენების სათაური თემის აქტუალობაზე თავისთავად მეტყველებს – „პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში". ასე რომ, თავიდანვე საუბარი მედიას დაუკავშირდა, რომელსაც ქალბატონი მანანა უკვე სამი ათეული წელია იკვლევს.

დროს უთმობენ თვითგანათლებას, არ არიან ინტერესიანები, მოტივირებულები. თუ ისინი მეტს იმუშავებენ საკუთარ თავზე და შეძლებენ, რომ „ამრავლონ" ცოდნა, რა თქმა უნდა, უფრო მეტს მიაღწევენ ნებისმიერ პროფესიაში და არა მარტო ჟურნალისტიკაში.

— ჩვენი მედიის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გამოითქმის. თქვენი აზრით, რა ხდება ამ სფეროში და როგორია ქართული მედია?

— დღეისათვის ჩვენი მედია კვლავ პოლარიზებულ მედიად რჩება, თუმცა, იკვეთებიან ოქროს შუალედის მაძიებელი გამოცემებიც. ეს ფრიდომ ჰაუსის ბოლო ანგარიშშიც ითქვა, სადაც აღნიშნულია, რომ პლურალიზმის კუთხით მედიაგარემო საქართველოში გაუმჯობესდა და ორი პუნქტით წინ წავედით.

— რამ გამოიწვია მედიის პოლარიზაცია?

— ბევრმა ფაქტორმა. ვხედავთ, რომ პოლიტიკური გარემო ასევე პოლარიზებულია და წარმოდგენილია ძირითადად ორი ჯგუფით - სახელისუფლებო და ოპოზიციური, თუმცა, დღევანდელი დღის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ეს პლურალისტული მოდელი, რომელიც დემოკრატიზაციის პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო ძალუმად და მკაფიოდ წარმოჩნდა, რადგან თავად საკანონმდებლო ორგანოშიც შემადგენლობა პლურალისტულია, რაც, შესაბამისად, საზოგადოების განწყობებს ასახავს და ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს და ხელისუფლების ლეგიტიმურობას ზრდის. ამავე დროს, წინა ხელისუფლების დროს მედიისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო შიდა პრობლემების გადატანა მეორე პლანზე საგარეო ფაქტორების ან ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ სენსაციური შინაარსის პრობლემების წინ წამოწევის გზით. ეს ქართული მედიისთვის არ არის მხოლოდ დამახასიათებელი. ზოგადად, ეს ხაზი აქვს მედიას მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ მედიას. დღეს შეინიშნება, რომ ჩვენი მედიის ყურადღება უფრო მეტად არის გამახვილებული შიდა ფაქტორებზე. თუმცა, ყურადღების გაფანტვის მცდელობა ახლაც ხშირია. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ჯანსაღი პროცესის დასაწყისის ნიშნები ჩანს. მართალია, რაც დღეს ხდება, ბევრს ქაოტურად ეჩვენება, მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე ის, რაც იყო, რადგან სიცოცხლე იგრძნობა. შედარებისთვის ვიტყვი, რომ თუ აქამდე ჭაობი და უძრაობა იყო, ახლა ცირკულაციის პროცესი დაიწყო, რაც მტკივნეულია, მაგრამ — აუცილებელი. ჩვენ პროფესიული და მენტალური პრობლემები გვაქვს, რომელიც ძალიან ძნელია დავძლიოთ, თუმცა, არავის აქვს იმის ილუზია, რომ გაიღვიძებს ხვალ და მედია იქნება გენიალური. მედიის ინსტრუმენტალიზაციის პროცესი თვით უპირველესი დემოკრატიის ქვეყნებშიც, ასე თუ ისე, ჩანს. ჩვენც ნუ ვიქნებით ძალიან სკეპტიკურები და კრიტიკულები და ვთქვათ: რა პროცესებსაც გადის ქვეყანა, იმ პროცესებს გადის მედიაც, უბრალოდ, მედია უნდა იყოს მეტად პასუხისმგებლიანი და უნდა გააცნობიეროს, რომ საზოგადოებას ემსახურება და არა ხელისუფალს. მე აქ მედიას ვამუნათებ, მაგრამ, მედია იქცევა ისე, როგორც მის დამფინანსებელს, ლობისტს თუ დამკვეთს სურს. სწორედ ამიტომ, როდესაც არსებობენ კომერციული მედიაშუალებები, ამის საპირწონე უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური და ბიზნეს-გავლენებისაგან და ზუსტად ასახავს საზოგადოების განწყობებს.

მეორე მხრივ, ეს მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის: დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის სახელმწიფოს და მედიის ურთიერთობა ამბივალენტურია: ერთი მხრივ ძლიერმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მედიას ეკონომიკური და პოლიტიკური ჩარევისგან დაცვის მიზნით გარკვეული მექანიზმი შეუქმნას, რასაც სუსტი სახელმწიფო ვერ ქმნის და მეორე მხრივ, თუ ძლიერია სახელმწიფო, აუცილებლად სძლევს სურვილი იმისა, რომ მედია, გარკვეულწილად, გამოიყენოს. როდესაც პოლიტიკისა და მედიის ურთიერთობებს ვასწავლი სტუდენტებს, მომაქვს უნგრეთის მაგალითი, სადაც წლობით გრძელდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ დებატები: ვერ მორიგდნენ სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების წესზე, რადგან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერეოდა დაკომპლექტების პროცესში. ამ პროცესს პოლიტოლოგებში სახელად ,,მედიის ომი" შეარქვეს და ის უნგრეთში ჯერაც არ დამშვიდებულა. საქმე იმაშია, რომ იქ თემის გარშემო დებატები დიდი ხანია დაიწყო, რაც გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, რაც ჩვენთან ხდებოდა: ვიღაც დანიშნავდა ბორდს – პრეზიდენტი წარადგენდა, პარლამენტი დაამტკიცებდა და ყველაფერი ამით მთავრდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ პირველი არხის „გადამრთველი" გაუქმებული აქვს ხალხს.

სისხლის ცირკულირება მედიაორგანიზმში დღეს უკვე იგრძნობა და გარემოც მკვეთრად პოლარიზებული უკვე აღარ არის. იკვეთება მცდელობები, როდესაც გარკვეული მედიასაშუალებები და ჟურნალისტები შუალედური პოზიციის დაკავებას ცდილობენ, რაც უკვე კარგია.

— მანამ მედიისა და პოლიტიკის ურთიერთობების კვლევას დაიწყებდით, მედიისა და ლიტერატურის ურთიერთობებს იკვლევდით. როგორ დაიწყეთ კარიერა და რა განაპირობებს თქვენი ინტერესების სფეროს?

— ჩემი ინტერესები სადღაც მიჯნაზეა ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას შორის. თავის დროზე საკანდიდატო დისერტაცია ჟურნალისტიკის ისტორიაში მაქვს დაცული და უკვე ორი ათეული წელია ვმუშაობ ლიტერატურის ინსტიტუტში. გარკვეული ნიშა მოვძებნე, რათა გამემართლებინა ჩემი მოღვაწეობა ლიტერატურის ინსტიტუტში და პარალელურად საუნივერსიტეტო სივრცეში.

ლიტერატურის ინსტიტუტში იყო ჟურნალისტიკის ისტორიის განყოფილება, სადაც ხდებოდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. ჩემი საკანდიდატო დისერტაცია შეეხებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრესაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ასახვას მე-19 საუკუნეში. ეს არის ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა და, ზოგადად, სამუსლიმანო საქართველოს შემომტკიცების კუთხით და ამაზე იყო დისერტაცია. თუმცა, შემდეგ ჩემი სამეცნიერო ინტერესები შეიცვალა და უფრო ჟურნალისტიკის ისტორიამ დამაინტერესა თეორიულ ჭრილში, მოგვიანებით კი თანამედროვე პროცესებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. რომ გითხრათ, ერთ მაგისტრალურ ხაზს მივდევ და ერთსა და იმავეს ვიკვლევ-მეთქი, ასე არ არის. ინტერესის საგანი იმის მიხედვით იცვლება, რა სიახლეებს და გამოწვევებსაც ეპოქა გვთავაზობს.

საერთოდ, თანამედროვე კვლევებს ინტერდისციპლინური ხასიათი აქვს და განსაკუთრებით ახალ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონტექსტში ეს შესანიშნავად თავსდება. ძირითადად ვიკვლევ პუბლიცისტიკას, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, რადგან თანამედროვე ქართული მწერლობა აშკარად პუბლიცისტური ხასიათით გამოირჩევა. ძალიან აქტუალურია სამწერლო კიბერსივრცე, რომლის შესახებაც შარშანაც მქონდა მოხსენება. მწერლობა ცდილობს ახალ მედიაში მოახდინოს თვითპრეზენტაცია. ეს არის მრავალაქცენტიანი და საინტერესო საკვლევი ველი, რომელიც, ფაქტობრივად, აუთვისებელია. მოდით, გულწრფელად ვთქვათ: დღეს ჩვენ ამ კომუნიკაციების და ტექნოლოგიზირებული კულტურის ეპოქაში ვცხოვრობთ, რომლის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია ვიზუალურობა. ჩვენ ვიზუალური კულტურის ეპოქის შვილები ვართ, სადაც მედიას გაბატონებული როლი აქვს.

— რატომ და როდის აირჩიეთ ჟურნალისტიკა?

— ამაზე ლაპარაკი გამიჭირდება, რადგან მას შემდეგ, რაც ცნობიერება ჩამომიყალიბდა, ამოვიჩემე, რომ მინდოდა ჟურნალისტიკა. არ ვარ მისტიკოსი და ნამდვილად არ შემიძლია ზებუნებრივ და საკრალურ თემებს დავუკავშირო მოვლენები, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველთვის ვიცოდი — მინდოდა ჟურნალისტიკაში მოვსულიყავი.

— პედაგოგებიდან ვის გაიხსენებთ, ვინ მოახდინა განსაკუთრებული გავლენა თქვენს პიროვნულ და პროფესიულ ჩამოყალიბებაზე?

— სხვადასხვა პერიოდზე სხვადასხვა ადამიანებმა მოახდინეს გავლენა, რომლებმაც ჩემი მსოფლმხედველობაც შეცვალეს და ცხოვრების ნირიც. კონკრეტულად ძნელია ჩამოთვალო, თუმცა, თავიდან იყო ნოდარ ტაბიძე, რომელიც ჟურნალისტიკის კათედრას ხელმძღვანელობდა და ძალიან გვხიბლავდა თავისი ლექციებით. თუნდაც ის, რომ ბატონი ნოდარი გალაკტიონის ძმისშვილია და მის გვერდით დაფრთიანდა, უკვე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. როცა მეცნიერებისკენ გამიწია გულმა, იქ უკვე ბატონი ალექსანდრე კალანდაძე იყო ჩემი თემის ხელმძღვანელი. საერთოდ, ძალიან ვემადლიერები ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, რომელიც არის ჩემთვის ბუდეც, ჯავშანიც, ადგილი განტვირთვისა და, ამავე დროს, უდიდესი პასუხისმგებლობისა – ცოდნის შეძენის, საკუთარ თავზე მუშაობის და ძალიან დიდი გამოცდილების კერა.

— თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, რომელსაც ძალიან ხშირი ცვლილებისას მოუწია ცხოვრება. სირთულეების მიუხედავად, თქვენ შეძელით — არ დაკარგულიყავით და საკუთარი საქმისთვისაც მიგეგნოთ. რა დაგეხმარათ ამაში?

— სულ ახლისკენ უნდა ისწრაფვოდე – ეს არის მთავარი. თუ ადამიანს აქვს მიმღებლობა, თუ იგი გარე სამყაროსთან პირისპირ მარტოდ დარჩენილიც რაღაც ახალს იღებს, გაიაზრებს და მას მოარგებს საკუთარ ღირებულებით სისტემას, აუცილებლად გადარჩება. თუმცა, საშინელებაა, როდესაც საკუთარს უცხოთი ჩაანაცვლებ. უკრიტიკოდ რაიმეს მიღება არ შეიძლება. უნდა შეეცადო, რომ ის, რაც გაქვს, რაზედაც დგას შენი პიროვნებაც და ქვეყანაც, მისი ნიველირება არ დაუშვა, თუმცა უნდა გადააფასო ისიც, რაც გადასაფასებელია და, პოსტმოდერნისტულად რომ ვთქვათ, მოხსნა იქ, სადაც მოსახსნელია და შეინახო იქ, სადაც შესანახია – აი ეს არის მნიშვნელოვანი. დღეს კი პირიქითაა: ვხსნით იქ, სადაც შესანახია და ვინახავთ იქ, სადაც არ არის შესანახი. ეს არის ძალიან ცუდი. ამასთან, უნდა გიყვარდეს საკუთარი საქმე და არ უნდა ავლენდე მხოლოდ პრაგმატულ დამოკიდებულებას საქმისადმი.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

�პᲐᲐᲢᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲡ 70 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრთებქვეშ შეფარებულ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს 29 ივნისს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტი II მსოფლიო ომის წლებში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა. ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი 1991 წელს მიენიჭა, რომლის იდეის ავტორი ეკონომიკის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა გახლდათ. „ნაციონალური მოძრაობის" ხისტი პოლიტიკის შედეგად უზარმაზარი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე ეკონომიკის ინსტიტუტი, 2010 წელს, თსუ-ს შეუერთეს, რომელსაც ბედად შენობა შეუნარჩუნდა, თუმცა თანამშრომელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. სირთულეების მიუხედავად, ინსტიტუტში ეკონომიკური მეცნიერების მიმართულებით კვლევის პროცესი არასდროს შეწერებულა და ამ ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევრებს არასდროს დაუხევიათ უკან — ეკონომიკურ პრობლემებზე ქვეყნის მასშტაბით მთავრობისთვის რეკომენდაციები შეემუშავებინათ.

70 წლის იუბილე პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტმა კონფერენციით აღნიშნა. 27 ივნისს ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები", რომელზეც არაერთი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს.

თამარ დადიანი

კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი სოროკინი, იოანე-პავლე II სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი სლავამირ პარტიცკი (პოლონეთი), ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ლინას ჩეკანავიუსი, განვითარებისა და კვლევების ინსტიტუტის პროფ. აგნეშკა რზეპკა (პოლონეთი), კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორები: დაროლ სტენლი და ლევან ეფრემიძე, ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ელენა ბელიაევა, ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის დირექტორი მარია ბიტაროვა, ასევე მეცნიერები პოლონეთის, ბულგარეთის, უკრაინის, ლიტვის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ჩეხეთისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეებიდან.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ პლენარულ სხდომაზე დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ და უცხოელ მეცნიერებს კონფერენციაში მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუტის თანამშრომლებს 70 წლის მანძილზე თავი არ დაუზოგავთ, რომ ინსტიტუტს ღირსეულად შეესრულებინა თავისი მისია.

თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვედაშვილმა წარმატებები უსურვა კონფერენციის მონაწილეებს: „ასეთი პროფილის ინსტიტუტი საქართველოში მხოლოდ ერთია და მას უდავოდ გაფრთხილება და ხელშეწყობა სჭირდება. უნივერსიტეტს ეს კარგად აქვს გაცნობიერებული, და შესაბამისად, თავის შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველთვის გვერდში უდგას მას. თსუ-ის მიზანია იყოს ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტი როგორც საქართველოში, ისე რეგიონში. ამ შემთხვევაში კი იმ ინსტიტუტების გვერდით ყოფნა, რომლებიც თავისი მეცნიერული დონითა და მიღწევებით გამოირჩევიან, თსუ-ის პირდაპირ ინტერესებში შედის. თსუ-ის სტრატეგია ასეთი ინსტიტუტების ხელშეწყობაა. ეკონომიკის ინსტიტუტი ყოველთვის გამოირჩეოდა სამეცნიერო პოტენციალითა და, აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის წვლილი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია" — აღნიშნა მან.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ავთანდილ არაბულმა: „სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დღევანდელი მდგომარეობა არ არის სახარბიელო, მაგრამ ასეთი საიუბილეო დღეები იმ ფუნდამენტის გახსენებაა, რაზედაც დღეს ეს ინსტიტუტები დგას და საიდანაც მათი განახლების, რეორგანიზაციის ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს. ხელისუფლებას აქვს ნება, რომ გარკვეული რეფორმა განხორციელდეს ინსტიტუტების გასაძლიერებლად".

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ, აკადემიკოსი დიმიტრი სოროკინი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გიორგი ბერულავა, როზეტა ასათიანი, თემურ შენგელია, უშანგი სამადაშვილი, ასევე, სტუმრები საზღვარგარეთიდან: პროფესორები: სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), ლინას ჩეკანავიუსი (ლიტვა), მარია ბიტაროვა (რუსეთი) და სხვ.

პლენარული მოხსენებების შემდეგ კონფერენციამ მუშაობა სექციების მიხედვით განაგრძო.

მეორე დღეს გაიმართა თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

სხდომა გახსნა თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ: „70 წლიანი არსებობის გზა ინსტიტუტმა, წინააღმდეგობების მიუხედავად, ღირსეულად განვლო და ახლაც წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით". მან დეტალურად გაიხსენა ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელოვანი პერიოდები და შედეგები, პატივისცემით მოიხსენია ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელი დაარსების დღიდან დღემდე და ხაზი გაუსვა მათი მოღვაწეობის მნიშვნელობასა და შედეგებს.

გამოსვლის ბოლოს, რამაზ აბესაძემ 75 წლის იუბილე მიულოცა და ინსტიტუტის ადრესი გადასცა ცნობილ მეცნიერსა და მოღვაწეს როზეტა ასათიანს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

საიუბილეო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა ინსტიტუტმა შეინარჩუნა არსებობა და დღესაც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს, რაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის დიდი დამსახურებაა.

როინ მეტრეველი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — 27 მაისს, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასაც შეეხო და აღნიშნულ პროცესს დადებითი შეფასება მისცა. „ამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი, დადებითი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის განვითარების მიმართულებით, დავძლიეთ „შიშის სინდრომი", მაგრამ „სამართლიანობის აღდგენის" პროცესი ჭიანურდება, იმედი მაქვს, ეს პროცესიც მალე დაიწყება", — განაცხადა როინ მეტრეველმა.

მან მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს ვლადიმერ პაპავას ეკონომიკის ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და აღნიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემია იბრძოლებს, რომ ინსტიტუტებმა თავისი სტატუსი განამტკიცოს და თანამშრომლებმა ღირსეული ანაზღაურება მიიღონ.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. მან საუბარი ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწეობის გახსენებით დაიწყო. ეს პერიოდი მან საკუთარი ცხოვრების სერიოზულ ნაწილად მიიჩნია. მოკლედ ისაუბრა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დღევანდელ მდგომარეობაზე და აღნიშნა: „სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ყოფნის მიუხედავად, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კი მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას მათი ინტერესები მთავრობისა და სახელმწიფოს წინაშე. საქართველოში ეკონომიკური პროფილის რამდენიმე კვლევითი დაწესებულება არსებობდა, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ ეკონომიკის ინსტიტუტი შემორჩა. ჩვენი თაობის უდიდესი შეცდომა და დანაშაული იქნება თუ ამ ინსტიტუტს არ შევინარჩუნებთ და არ გავაძლიერებთ", — განაცხადა მან.

ვლადიმერ პაპავამ გულთბილად გაიხსენა ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა ის მეცნიერი, ვინც თავისი მოღვაწეობითა და პიროვნული ხიბლით განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში: აკადემიკოსი ავთანდილ გუნია, პროფესორები: არჩილ თეთრაული, გიორგი წერეთელი და სხვები.

სიტყვის დასასრულს, თსუ-ის რექტორმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რამაზ აბესაძეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე არსებული დიდი დამსახურებისა, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის". ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა ასევე ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ პირველ თანამშრომელს, ეკონომიკის დოქტორს, ქალბატონ შუშანა მარგველაშვილს, რომელიც ღონისძიებას ხანდაზმულობის გამო ვერ დაესწრო. ცოტა ხნით ადრე ამ მედლით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზეტა ასათიანიც დაჯილდოვდა.

ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ 10 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულ მიგრაციის კვლევის ცენტრს 10 წელი შეუსრულდა. იგი შეიქმნა თვითდაფინანსებით პროფესორ მირიან ტუხაშვილის ინიციატივით. ამჟამად ცენტრი ფუნქციონირებს მაკროეკონომიკის კათედრასთან და სწავლობს თანამედროვეობის უმწვავეს სოციალურ პრობლემას – მოსახლეობის მიგრაციას. ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები არაერთხელ გახმაურდა სან-ფრანცისკოს, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, მონრეალის, ლივერპულის, ბარსელონას, ბუდაპეშტის, ვარშავის, ფლორენციის, პრაღის, მადრიდის, ლისაბონის, მოსკოვის, კიევის, მინსკის, ოდესის, სტამბულის და სხვა ქალაქებში გამართულ მაღალრეიტინგულ კონფერენციებზე. განვლილ პერიოდში ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ცენტრის თანამშრომელთა მონოგრაფიებისა და ნაშრომთა კრებულების 17 წიგნი.

მიგრაციის კვლევის ცენტრში რამდენიმე მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტი განხორციელდა, მათ შორის სამი — ევროკავშირის დაფინანსებით. ცენტრის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებშიც. საზღვარგარეთის აკადემიურ გამოცემებში გამოქვეყნებულია ცენტრის მეცნიერ-მუშაკთა 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

მიგრაციის კვლევის ცენტრის საქმიანობასა და კვლევების შესახებ გვესაუბრება ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორ მირიან ტუხაშვილი, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა მიგრაციული პროცესების სწორი მართვის პოლიტიკასა და მნიშვნელობაზე, ასევე ცენტრის საქმიანობასა და პრობლემებზე.

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— მუდმივი ემიგრაციის ზემაღალი ინტენსივობა 90-იან წლების პირველ ნახევარში იყო, რაც სსრკ დაშლასა და ეკონომიკურ კოლაფსს მოჰყვა. 1989-2002 წლებში საქართველოდან მუდმივი მოსახლეობის 20% წავიდა საზღვარგარეთ საცხოვრებლად. ამჟამად პიკი გავლილია, თუმცა უარყოფითი მიგრაციული სალდო მაინც საგრძნობლადაა გამოხატული. ჩვენ მიერ შესწავლილი შრომის ბაზრის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ იგი მომავალშიც შენარჩუნდება და დამოკიდებული იქნება საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპზე.

სიღრმისეულად შევისწავლეთ შრომითი ემიგრაციის პროცესი და შედეგები. საქართველოდან თითქმის ნახევარი მილიონი კაცი საზღვარგარეთ მუშაობს. გამოკვლევებმა საქართველოდან შრომითი ემიგრაციის მეტისმეტად დაბალი ეფექტიანობა გვიჩვენეს. მისი მიზეზი ემიგრაციის არალეგალური ხასიათია. ლეგალიზაციის მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, ჯერ კიდევ შორსაა ოპტიმალური დონე, რომელიც საქართველოს მიგრაციული და დემოგრაფიული უსაფრთხოების პარამეტრებს შეესაბამება.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მთელს მსოფლიოში წამოწყებულ თანამემამულეთა დაბრუნების მოძრაობას. იგი ხელსაყრელია ემიგრანტთა მიმღები და გამგზავნი ქვეყნებისთვის. მეცნიერული კვლევების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ დიდ შედეგს გამოიღებს ე.წ. ცირკულარული მიგრაციის განვითარების ხელშეწყობა. აუცილებელია მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის მართვა. მიგრაციულ პოლიტიკას ყველა ქვეყანა ახორციელებს, მაგრამ მას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ემიგრანტთა დაბრუნების პროცესი მეტად ძნელი განსახორციელებელია. მას უზარმაზარი საზოგადოებრივი ძალისხმევა დასჭირდება და ამისთვის ყოველგვარი რესურსი უნდა გამოვიყენოთ. პირველ რიგში საჭიროა მიგრაციული პროცესების მეცნიერული სურათის დადგენა, რაც ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოცემული. ჩვენმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ კვლევის მასშტაბი მრავალჯერ უნდა გაიზარდოს. სხვაგვარად პრაქტიკოსთა მცდელობა „კალკებს" ვერ გაცდება და შედეგიც მცირე იქნება. მხოლოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობილი სამეცნიერო მუშაობა არსებით შედეგს ვერ მოიტანს.

ბოლო ხანს შრომით ემიგრაციას ბევრი მკვლევარი გამოუჩნდა, უცხოელი დამკვეთებიც მიგრაციის ამ სახეზე ამახვილებენ ყურადღებას. მიგრაციული და დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით კი მოსალოდნელი იმიგრაციული პროცესები არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს. გვესაჭიროება ორიგინალური იმიგრაციული პოლიტიკა. საქართველოსთვის ევროპული „კალკები" ნაკლებად გამოდგება.

ასევე, ფაქტობრივად, სრულიად შეუსწავლელია თანამედროვე შიგამიგრაციული პროცესებიც. ბევრი მკვლევარი ცდება, როცა მიგრაციული კანონზომიერებების დადგენას საქართველოს შრომის ბაზრის გვერდის ავლით ცდილობს, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვლევით დაინტერესებულთა რიცხოვნობა იზრდება.

უნდა გაცნობიერდეს, რომ მიგრაციის ეპიზოდური კვლევა, რაც დღეს საქართველოში ხდება, რაიმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ გამოიღებს. მიგრაციის რეგულირება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მას მყარი მეცნიერული საფუძველი და ფუნდამენტური კვლევა სჭირდება. ღრმად მწამს, რომ ამისათვის სწორი მიმართულებით გაღებული რესურსები, მათ შორის, აუცილებელი საბაზო დაფინანსება, ფუჭად არ დაიკარგება.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

INFO ქრონიკა

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET-აისეტი) კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია გაიმართა. მაგისტრებისთვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ, მოწვეულმა სტუმრებმა.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება და ამისთვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი უცხოენოვანი პროგრამები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სკოლა აისეტი, რომელიც ეკონომიკური განათლების კუთხით ლიდერია მთელ რეგიონში. აისეტში სტუდენტები მაგისტრატურაში უცხოენოვან განათლებას იღებენ. ამ სკოლაში წარმატებული ქართველი და უცხოელი პროფესორები კითხულობენ ლექციებს. ჩვენ გვსურს, რომ ეს სკოლა კიდევ უფრო გაძლიერდეს“.

„განათლება არა პოსტულატების დონეზე, არამედ გათვითცნობიერებული არჩევანი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება არის ერთადერთი გამოსავალი ყველა იმ პრობლემიდან, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, თუ სამოქალაქო თვითშეგნების თვალსაზრისით. აისეტი ნამდვილად არის ეკონომიკური პროფილის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოსა და რეგიონში, ეროვნული ბანკი კი აისეტის კურსდამთავრებულების მთავარი დამსაქმებელია. თუ ამ სკოლაში განათლების არსებული დონე შენარჩუნდება, ეროვნული ბანკი კვლავ განაგრძობს აისეტთან თანამშრომლობას,“ — აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მაგისტრატურის დამთავრება მიულოცა კურსდამთავრებულებს და აღნიშნა, რომ „რეალურად ჩვენს რეგიონში ყველაზე კარგი ეკონომიკური სკოლაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, სადაც სწავლობენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ სტუდენტები მეზობელი ქვეყნებიდან. განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, რომ ამ წარმატებულ სტუდენტებს შორის ის სტუდენტებიც არიან, რომელთაც მე ვასწავლიდი ბაკალავრიატის საფეხურზე“.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა საუკეთესო მაგისტრანტს ხატია ბარბაქაძეს Valedictorian-ის (ვალედიქტორიანის) სერტიფიკატი გადასცა. „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღეა ჩვენთვის, რადგან ორწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ დავამთავრეთ აისეტი; მომენიჭა ვალედიქტორიანის ტიტული, რაც ნიშნავს კლასში ნომერ პირველს. დარწმუნებული ვარ, რომ აისეტის წლევანდელი კურსდამთავრებულები, წინამორბედების მსგავსად, მოახერხებენ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას“, — აღნიშნა ხატია ბარბაქაძემ.

„ძალიან კარგია, რომ უნივერსიტეტში არის სკოლა აისეტი, რომელიც თავისი პროგრამებით, შეფასების სისტემით აბსოლუტურ შესაბამისობაშია ყველა საერთაშორისო კრიტერიუმთან. ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან აბსოლუტურად კონკურენტუნარიანები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მინდა მივულოცო ეს დღე კურსდამთავრებულებს და მთლიანად აისეტს“, — განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

აისეტში ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მაგისტრის წოდება 37 სტუდენტს მიენიჭა. მაღალი აკადემიური მოსწრების მაგისტრანტები Summa cum laude (სუმა კუმ ლაუდე) და Cum laude (კუმ ლაუდე) დიპლომებით დაჯილდოვდნენ, სპეციალური სერტიფიკატები საუკეთესო თეზისების ავტორმა სტუდენტებმა მიიღეს. ISET-ის 2014 წლის კლასის ლიდერს ზურაბ ჟვანიას სახელობის პრიზი გადაეცა, ხოლო საუკეთესო მოსწრების რამდენიმე სტუდენტი განსაკუთრებული საჩუქრებით დააჯილდოვა საქართველოს ეროვნული ბანკმა.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ISET-ის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა ნიუ იორკის, სტენფორდის, ჩიკაგოს, პენსილვანიისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების დოქტორანტურაში განაგრძონ. მიღებული გამოცდილების და ცოდნის შედეგად, კურსდამთავრებულები სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებში წამყვან თანამდებობებზე დასაქმდებიან. ISET-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს.

იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი-ცნობარის პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი-ცნობარის პრეზენტაცია გაიმართა. ლექსიკონი-ცნობარის ავტორები არიან თსუ პროფესორები ხატია ხატიაშვილი და ნათია ამირეჯიბი. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს, ლევან სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და პროკურატურის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ნებისმიერი საცნობარო ტერმინოლოგიური ლექსიკონი აუცილებელია მეცნიერების განვითარებისთვის; ჩნდება ახალი ტერმინები, რომელთა ფორმირება, ქართული შესატყვისების მოძიება-შექმნა საკმაოდ რთული საქმეა. მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ში შეიქმნა იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი-ცნობარი. ეს ლექსიკონი-ცნობარი გამოადგება სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ხელს შეუწყობს მსგავსი შინაარსის საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოცემას“.

„ამ შინაარსისა და მიმართულების ლექსიკონი-ცნობარი პირველად გამოიცა საქართველოში. აქამდე არსებობდა 1963 წელს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ცნობარი. ეს გამოცემა უფრო სრულყოფილია, შევსებულია თანამედროვე ტერმინოლოგიით; მასში 5 ათასი სიტყვა-სტატიაა თავმოყრილი. გამოცემა სასწავლო ხასიათისაა და უკვე სარგებლობს დიდი ინტერესით,“ — აღნიშნა ლექსიკონი-ცნობარის ერთ-ერთმა ავტორმა, თსუ-ის პროფესორმა ხატია ხატიაშვილმა.

იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი-ცნობარი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში შესულია ზოგიერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა; მეორე ნაწილში მოცემულია იურიდიული ტექსტებისათვის დამახასიათებელი სახელობითი შესიტყვებებისა და გამონათქვამების განმარტებები; მესამე ნაწილი ეთმობა იურისპრუდენციაში გამოყენებადი ტერმინებისა და სიტყვების ლექსიკონს.

ლექსიკონი-ცნობარი სასწავლო ხასიათისაა და განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტისა და თარგმანმცოდნეობის მოდულის სტუდენტთათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისათვის, კონკრეტული დარგის პრაქტიკოსი მთარგმნელებისა და თარჯიმნებისათვის და იმ პირთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ან რაიმე სახის შეხება აქვთ იურიდიულ ტერმინოლოგიასთან.

ლუიჯი მაგაროტოს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელობის უნივერსიტეტში ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის, ცნობილი ქართველოლოგის, ლუიჯი მაგაროტოს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩი ფედერიკა ფავი, თსუ-ის აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა იმ დიდი იმედის, ოცნების განხორციელებისკენ, რომელსაც არაერთი საუკუნე ელოდა ქართველი ხალხი - გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. სასიამოვნოა, რომ ამ მნიშვნელოვან მოვლენას სიმბოლურად დაემთხვა ცნობილი მეცნიერის, ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს თსუ-ის საპატიო დოქტორის მინიჭების საზეიმო ცერემონია. ვულოცავ ლუიჯი მაგაროტოს ამ საპატიო წოდებას. დარწმუნებული ვარ, მომავალში მისი შემოქმედება კიდევ უფრო მდიდარი და ნაყოფიერი იქნება, რაც საქართველოს საერთაშორისო პოპულარიზაციას დაეხმარება“.

„ჩემთვის დიდი პატივია ვიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მოგილოცოთ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საქართველო დიდხანს მიდიოდა ამ მიზნისკენ, შედეგი კი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საქართველოს და იტალიას დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ. ლუიჯი მაგაროტო ბევრს შრომობდა ბოლო პერიოდში ამ ორი ქვეყნის კიდევ უფრო დასაახლოებლად. გულწრფელად ვულოცავ იტალიელ მეცნიერს ამ საპატიო ჯილდოს და დარწმუნებული ვარ, რომ იგი კიდევ ბევრს გააკეთებს საქართველოსა და იტალიის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისთვის“, — აღნიშნა იტალიის ელჩმა ფედერიკა ფავიმ.

„უაღრესად დიდი პატივია საქართველოს უძველესი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მონიჭება. ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა სწორედ ამ უნივერსიტეტის კედლებში დავიწყე. ძალიან მიყვარს ქართული კულტურა, ლიტერატურა, საერთოდ, საქართველო. დიდი მადლობა უნივერსიტეტს ჩემი ღვაწლის დაფასებისთვის“, — განაცხადა თსუ-ის საპატიო დოქტორმა ლუიჯი მაგაროტომ.

ლუიჯი მაგაროტო ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგია, რომელიც რამდენიმე

ათეული წელია თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან და მკვლევრებთან. მისი ინიციატივით ვენეციის უნივერსიტეტში პერიოდულად იკითხებოდა ლექციების ციკლი ქართველოლოგიის სხვადასხვა პრობლემებზე, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მისი ხელმძღვანელობით ვენეციის უნივერსიტეტში გამოიცემოდა ქართველოლოგიური სამეცნიერო კრებული „გეორგიკა“. მაგაროტო არის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების იტალიურ ენაზე მთარგმნელი. მან თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“, ასევე გააცნო იტალიურენოვან მკითხველს გალაკტიონის, სიმონ ჩიქოვანის და ტიციან ტაბიძის პოეზია. ლუიჯი მაგაროტო ბევრს წერს ქართველი მწერლებისა და ქართული ლიტერატურის შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი საისტორიო ხასიათის მონოგრაფია „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801წწ)“ და მრავალრიცხოვანი სტატიები ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემებში.

ლუიჯი მაგაროტოს ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევები ქართველოლოგიის დარგში ძირითადად ეხება XX ს-ის I პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას, განსაკუთრებით „ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობას. 1999 წლიდან თსუ-თან არსებულმა ქართველოლოგიურმა სკოლის ცენტრმა ლუიჯი მაგაროტოს მიანიჭა მარჯორი უორდროპის პრემია.

ლუიჯი მაგაროტო დღემდე აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცემული რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, ხშირად მონაწილეობს ქართველოლოგიის საკითხებზე გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში.

ლეგენდის გაცოცხლება

ტიმ სევერინი და უნივერსიტეტი

„ისტორიული არგონავტები არ დაბრუნებულან საქართველოში, ყოველ შემთხვევაში მითები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. თანამედროვე არგონავტები კი, ჩვენი მოწვევით და თხოვნით, ჩამობრძანდნენ“, — ამ სიტყვებით გახსნა კონფერენცია უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც ახალი არგონავტების საქართველოში ჩამოსვლის სამეცნიერო მნიშვნელობაზე ისაუბრა და ექსპედიციის ხელმძღვანელს, ცნობილ მეცნიერსა და მოგზაურს ტიმ სევერინს საქართველოს პოპულარიზაციაში გაწეული წვლილისათვის უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

„არგონავტებს“ ასევე მიესალმნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა, ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI საუკუნე“-ს ხელმძღვანელი ვალერი ასათიანი, ექსპედიციის მაშინდელი მასპინძლები: ივერი ჭელიძე და ნუგზარ ფოფხაძე.

ყველა გამომსვლელი განსაკუთრებით გამოკვეთდა „არგონავტების“ ექსპედიციის დამსახურებას საქართველოს პოპულარიზაციაში.

„ახალი „არგონავტების“ დიდი მოგზაურობა მითოლოგიურ გზაზე

1984 წელს საქართველო დიდმა მოლოდინმა მოიცვა — დახურული „რკინის ფარდის“ მიღმიდან მოისმა, რომ ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, მოგზაური და მწერალი ტიმ სევერინი აპირებდა „არგონავტების“ მითის გაცოცხლებას და მითიური „არგოს“ ზუსტი ანალოგიით იმ გზის გავლას, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში ბერძნებმა კოლხეთამდე გამოიარეს. ექსპედიციის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ „არგოს“ შეეძლო მოეღწია კოლხეთამდე.

3 მაისს ახალი დროის „არგონავტებმა“, კაპიტან ტიმ სევერინთან ერთად, სტარტი აიღეს ქალაქ ვოლოსიდან — არგოლიკისის ყურედან, იქედან, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო იაზონმა. „არგოს“ ეკიპაჟის შემადგენლობაში შედიოდა: ცამეტი ინგლისელი და ირლანდიელი ახალგაზრდა, მათ შორის ორი ექიმი, თავგადასავალთა მაძიებელი სტუდენტები, მენიჩბეები საბერძნეთიდან და თურქეთიდან.

იმ დღეების ზუსტი აღდგენა ახლა შეუძლებელია, თუმცა ყოვლისშემძლე ინტერნეტში მაინც მოიძებნა „არგოს“ მოგზაურობის დაწვრილებითი აღწერა, რომელსაც ვორდ-პრესზე, კონკრეტულად კი ილია ლეჟავას ბლოგზე (http://ilovanski.wordpress.com) მივაკვლიეთ.

აი, როგორ შეხვდნენ თურმე ფოთსა და ვანში „არგონავტებს“ ქართველები: „მაშინ როცა საქართველოში ტიმ სევერიანის ექსპედიციის შესახვედრად დიდი სამზადისი იყო, „არგოს“ უკვე გავლილი ჰქონდა ეგეოსის ზღვა, ანტიკური „ჰელესპონტი“ (დღევანდელი დარდანელის სრუტე), პროპონტიდა (ანუ მარმარილოს ზღვა), ბოსფორი და ანატოლიის, პაფლაგონიისა და თემისკირის სანაპიროების გასწვრივ სერავდა ზღვას. „არგო“ საბერძნეთის და თურქეთის ტერიტორიულ წყლებში ამ ქვეყნების მენიჩბეებმა გამოაცილეს, ხოლო საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ქართველი მენიჩბეები ჩაენაცვლნენ.

„არგოს“ შესახვედრად ბათუმიდან გავიდა იახტებისა და კატერების ფლოტი აფრებიანი ხომალდის „ტოვარიშჩის“ ფლაგმანობით. ხომალდ „ტოვარიშჩიდან“ „არგოზე“ გადავიდნენ ნუგზარ ფოფხაძე – საქ. ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარე და სსრკ-ში ცნობილი კინორეჟისორი და ტელეწამყვანი იური სენკევიჩი. ისინი საქართველოში ამ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ. იახტა „კოლხიდა“, რომელიც „არგოს“ შეეგება, პირველი შეუძღვა მას ფოთის ნავსადგურში, სადაც სტუმრებს ზღვა ხალხი ელოდა. მათმა მისალმებებმა, სიმღერებმა და ტაშმა ყველაფერი გადაფარა. სიტყვით გამოვიდა მოგზაურთა ხელმძღვანელი ტიმ სევერიანი. მან აღნიშნა, რომ ეკიპაჟი თითქმის სამი თვე ღია ზღვაში ებრძოდა გრიგალსა და უამინდობას, მენიჩბეებს ძალზე გაუჭირდათ. ხანმოკლე, გულთბილი შეხვედრის შემდეგ, 22 ივლისს, „არგომ“ ანტიკური ფაზისიდან გეზი მდინარე რიონისკენ აიღო. მოგზაურებს რიონზე მძიმე სირთულეები შეექმნათ ძაბვის, კაშხალების, ხიდების, ზოგან მეჩეჩებისა და სხვა დაბრკოლებების გამო. ამას თან დაერთო კოკისპირული წვიმები, უამინდობა, რიონის ადიდება. ხომალდის მეჩეჩებზე გადაყვანისთვის საჭირო შეიქნა დამხმარე ძალები. 1984 წლის 24 ივლისს, ნაშუადღევს, ტიმ სევერინის ხომალდმა, რომელმაც სამი ათასი მილი გამოიარა, მშვიდობით მოაღწია კოლხეთს (ვანს). ჭყვიშში, გალაკტიონის ეზოში სახელდახელოდ აღმართეს ქვის სტელა ქართულ–ინგლისურ–რუსული წარწერით. აქ თავმოყრილი იყო ვანის რაიონის მოსახლეობა, დედაქალაქიდან, რესპუბლიკის ქალაქებიდან და რეგიონებიდან ჩამოსული სტუმრები. ტიმ სევერინს მიეგება თეთრ კაბაში გამოწყობილი თანამედროვე მედეა (საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ნინო კაციტაძე).

„ჭყვიშის პორტიდან“ დაიწყო ტიმ სევერინის მეცნიერული მოგზაურობა საქართველოს მიწაზე. პირველ რიგში იგი ეწვია ვანის არქეოლოგიურ გათხრებს. მან გამოთქვა იმედი, რომ ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი მას დიდად დაეხმარება არგონავტთა მითის ისტორიულობის საბოლოოდ დამტკიცებაში. ვანის შემდეგ მან მოინახულა სვანეთი, სადაც ადგილობრივებმა გააცნეს, თუ როგორ მოიპოვებდნენ მათი წინაპრები ცხვრის ტყავისგან ოქროს.

2 აგვისტოს „არგონავტები“ ვანს და ვანელებს გამოემშვიდობნენ. „არგო“ ბათუმამდე მატარებლით ჩაიტანეს, აქედან კი ღამით, ხომალდმა „ტოვარიშჩმა“ სტამბულამდე გააცილა.“

„ახალი „არგონავტების“ მოგზაურობის მეცნიერული მნიშვნელობა

საერთაშორისო კონფერენციაზე „არგო“ 2014 — ლეგენდის გაცოცხლება“ — აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა ამ ექსპედიციის ხელმძღვანელს ტიმ სევერინს „მსოფლიოს უდიდესი მცოდნე“ უწოდა და არგონავტების 1984 წლის ვიზიტის მეცნიერულ მნიშვნელობაზე წაიკითხა მოხსენება: „საქართველო და არგონავტიკა“. „1984 წელს ამ ექსპედიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოპულარიზაციისთვის, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას მეცნიერული თვალსაზრისით“, — აღნიშნა მან და დაწვრილებით მიმოიხილა ის პასაჟები, რითაც არგონავტების შესახებ მითი საქართველოს უკავშირდება.

რისმაგ გორდეზიანი:

— გასული საუკუნის 80-იან წლებში მეცნიერებაში ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ აზრი, რომ არგონავტების მითი საქართველოს (კონკრეტულად, კოლხეთს) არ უკავშირდებოდა. არავინ კამათობდა იმაზე, რომ ბერძნები ჩვენ წელთაღრიცხვამდე VII საუკუნის მინურულიდან ნამდვილად იყვნენ კოლხეთში, მაგრამ ეჭვობდნენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში ხომალდები ვერ შეძლებდნენ ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვაში შემოსვლას, მით უფრო, რომ უძველეს ვერსიებში – უპირველესად ჰომეროსთან, „არგოს“ ლაშქრობა კოლხეთში არ დასტურდებოდა. ძალზე საინტერესოა, რომ სწორედ ამ სკეპტიციზმის ეპოქაში შედგა ექსპედიცია, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ „არგოს“ ტიპის ხომალდს ნამდვილად შეეძლო მენიჩბეების დიდი ძალისხმევით ეგეოსის მხრიდან კოლხეთამდე მოღწევა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ფაქტორის გამო: 1) „არგოს“ მოგზაურობა არის მსოფლიოში ცნობილი პირველი საერთაშორისო მოგზაურობა ხომალდით და ეს მოგზაურობა ევროპიდან საქართველოში განხორციელდა; 2) ქართველების საიდენტიფიკაციო სიმბოლოები არის „არგონავტიკა“ (ლეგენდარული კოლხეთი) და პრომეთე. როცა ამ ორ სიტყვას, ეტყვით ადამიანს, თუ ოდნავ განათლებულია, მიხვდება, თუ რას გულისხმობთ.

ტიმ სევერინის ექსპედიციამ დიდი იმპულსი შესძინა კოლხეთის მეცნიერულ შესწავლას. თავად ბატონმა ტიმ სევერინმა, ან განსვენებულ ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად, შეისწავლა კოლხეთის არქეოლოგიური ასპექტები, ხოლო ჩვენ შევამოწმეთ კოლხეთთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია, თუ რამდენად უკავშირდება იგი ქართველურ სამყაროს. ამდენად, ეს იყო არა მხოლოდ საქართველოს პოპულარიზაციის, არამედ მეცნიერების თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი ექსპედიცია, რადგან ის ვერსია, რომ „არგოს“ შეეძლო საქართველოში ეგეოსის ზღვის მხრიდან შემოსვლა, გამყარდა.

შემდგომ წლებში ეს მოსაზრება უკვე მეტად სარწმუნო გახდა. 1989 წლიდან ტროაში (რომელიც იყო ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვაში შემოსასვლელი კარი) განახლდა ექსპედიცია მანფრედ კორფმანის მეთაურობით, რომელმაც, სხვა მნიშვნელოვან აღმოჩენებთან ერთად, დაადგინა, რომ ტროელებს სეზონის ხელსაყრელ დროს ხომალდები ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვაში შემოჰყავდათ. ეს, ფაქტობრივად, ხსნის ყველანაირ ეჭვს ეგეოსის ზღვიდან არგონავტების კოლხეთში შემოსვლის შესახებ.

ამის შემდეგ წარმოიქმნა კიდევ ახალი კითხვები. ამბობდნენ — დიახ, არგონავტები იყვნენ შავ ზღვაში, მაგრამ ეს არ იყო კოლხეთი. ნაწილი მეცნიერებისა ამტკიცებდა, რომ არგონავტების ლაშქრობა კოლხეთს მხოლოდ და მხოლოდ დიდი ბერძნული კოლონიზაციის შემდეგ დაუკავშირდა, ნაწილი კი (ხეთოლოგები) ამტკიცებდა, რომ ეს იყო ლაშქრობა ხეთების იმპერიის ფარგლებში – ზღვის სანაპიროზე. ბოლოს და ბოლოს, ეს გადაიზარდა დიდ პოლიტიკურ სპეკულაციაში. ბოლო პერიოდში რუსეთშიც დაიბეჭდა მთელი წყება სტატიებისა, რომლებშიც ნათქვამია, რომ „ოქროს საწმისი“ ინახებოდა არა კოლხეთში, არამედ სოჭში... რაშია საქმე, რატომაა ასეთი გაფაციცებული ცდა, რომ „ოქროს საწმისი“ სხვა ტერიტორიას დაუკავშირდეს? რადგან არგონავტების მოგზაურობით მტკიცდება, თუ რამდენად იყო ჩართული ქვეყანა დიდ კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

დღეს მეცნიერთა დიდი ნაწილი აღარ გვედავება იმაში, რომ „არგონავტების მითში“ იგულისხმება კოლხეთი, მაგრამ გვისვამენ კითხვას — სად არის ჩვენ წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნის სამეფო რეზიდენცია საქართველოში? მინდა შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ ჰაინრიხ შლიმანმა, რომელმაც ტროა, მიკენი და მიკენური საბერძნეთი აღმოაჩინა, გამოთქვა სურვილი, რომ გათხრები ეწარმოებინა კოლხეთშიც და ლეგენდარული კოლხეთის მთავარი სარეზიდენციო ქალაქისთვის მიეკვლია. მან ეს ვერ მოახერხა, რადგან მაშინ მას მისწერეს, რომ დასავლეთ საქართველოში მსგავსი არაფერია მონიშნული და აღმოჩენილი და არაფერი გვიჩვენებს, რომ აქ ასეთი ძველი ანტიკური ცივილიზაცია არსებობდა.

ეს საკითხი დღემდე მტკივნეულია ჩვენთვის. მართალია, აღმოვაჩინეთ ბევრი მასალა, რომელიც აჩვენებს, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში აქ არსებობდა კოლხეთის ცივილიზაცია, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ სარეზიდენციო ქალაქი. ჩვენ გვინდა, ბატონი ტიმ სევერინის შემდგომი ჩამოსვლის დროს ვთქვათ, რომ ჩვენმა არქეოლოგებმა ბრინჯაოს ხანის სამეფო რეზიდენცია კოლხეთში აღმოაჩინეს.

30 წლის შემდეგ – ლეგენდის გაცოცხლება

„არგონავტების“ ჩამოსვლა საქართველოში ამჯერად ბატონ ილია ფერაძეს უკავშირდება. სწორედ იგი დაუკავშირდა ინტერნეტით ტიმ სევერინს და შესთავაზა, ქართულ საზოგადოებასთან ერთად აღენიშნათ „არგოს“ ექსპედიციის 30 წლისთავი. „ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სამ დღეში დამიბრუნდა პასუხი, რომ ბატონი ტიმ სევერინი მზადაა ჩამობრძანდეს საქართველოში... ამის შემდეგ უკან დასახევი გზა არ არსებობდა, მოვძებნეთ სხვა „არგონავტებიც“, დავუკავშირდით მთავრობის წარმომადგენლებს და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებს, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ღონისძიების ორგანიზებაში“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ილია ფერაძემ.

თავად უდიდესი მოგზაური, მეცნიერი და მწერალი ტიმ სევერინი დიდხანს არიგებდა ავტოგრაფებს და ბედნიერი ჩანდა, რომ ამდენი წლის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ ისევე გულღიად და სიყვარულით მიიღო, როგორც მაშინ – პირველი ექსპედიციისას. „30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და ჩემი ეკიპაჟი საქართველოში ვიმყოფებოდით. ეს იყო არაჩვეულებრივი დახვედრა, რომელსაც ახლდა ქართველი ხალხის უზომო სიხარული და ემოცია. დაუვიწყარია შეხვედრა იმ მეცნიერებთან, რომლებიც საქართველოს უახლეს ისტორიას სწავლობდნენ. მათ გარეშე ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით, ელემენტარულად არ გვეცოდინებოდა, სად შეჩერდა ჩვენი მოგზაურობა „არგოთი''. მაშინ ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ გვითხრა, რომ ჩვენ მოვედით „ბრინჯაოს ხანის საქართველოში“. აქედან დაიწყო ჩვენი ზეიმი და ჩვენ ფეხი შემოვდგით თანამედროვე საქართველოში, რომელიც აღსავსეა ენთუზიაზმით, მრავალფეროვნებით, წარმოუდგენელი და დაუჯერებელი სტუმართმოყვარეობით, რომლითაც თქვენ მთელს მსოფლიოში ხართ ცნობილი“, — გვითხრა მან.

* * *

ტიმ სევერინმა ის გახმაურებული ტრაგიკული შემთხვევაც გაიხსენა, რომელიც თბილისის ზღვაზე მოხდა — გოგლიკო ჩოგოვაძე, გოგიტა და კახა ჩხაიძეები სწორედ ტიმ სევერინთან შესახვედრად ამზადებდნენ იახტას, როცა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მაშინ ტიმ სევერინმა წერილიც კი მისწერა გოგლიკო ჩოგოვაძის ბაბუას, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს, რომელშიც წერდა, რომ უპრიანი იქნება, მისი წიგნი „იასონის მოგზაურობა“ ამ ბიჭების ხსოვნას მიეძღვნას. დღეს იგი ამ შემთხვევას ერთგვარ სიმბოლურობას მიაწერს. „ეს თითქოს სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველები ჩვენს ვიზიტს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ჩემთვის,“ — აღნიშნა მან.

* * *

30 წლის შემდეგ ხომალდი „არგო“ აღარ არსებობს. ის ჯერ სხვა ექსპედიციისთვის გამოიყენეს, შემდეგ ინგლისში — არქეოლოგიური ცდებისთვის. ბოლო დროს კი ერთერთ მუზეუმშიც ინახებოდა.

„არგომ“ არსებობა დაასრულა, თუმცა მოგონებები ამ საინტერესო ექსპედიციაზე სამუდამოდ დარჩა.

ოფიციალური გვერდი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№94/01-01 19.06.2014

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-11 პუნქტის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის №126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 12 ივნისის №08/04 ერთობლივი ბრძანების და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის 2014 წლის 16 ივნისის №18709/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;

უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 19 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 21 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 25 აგვისტოსი;

კონკურსი გამოცხადდეს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

სისხლის სამართლის მიმართულება:
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

კონსტიტუციური სამართლის მიმართულება:
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული

პროფესორის და ასოცირებული პროფესორების თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2014 წლის 21 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით, 9^{30}-დან 18^{00} საათამდე. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3 (II კორპუსი) 1 სართული (იურიდიული ფაკულტეტის კანცელარია) ოთახი №117;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან ალექსიძე
რექტორის მოადგილე,
რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 ივნისის №79/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

№99/01-01 26.06.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თეიმურაზ ბერიძის 2014 წლის 16 ივნისის №18578/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შევიდეს ცვლილება „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 ივნისის №79/01-01 ბრძანებაში და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონკურსო დოკუმენტები 2014 წლის 7 ივლისისდან 2014 წლის 17 ივლისის ჩათვლით, 10^{00} დან 18^{00} საათამდე, მიიღება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №13, უნივერსიტეტის XI კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №428, ხოლო 2014 წლის 18 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით, 10^{00} დან 18^{00} საათამდე — თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ-ის X კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №310.“

2. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 ივნისის №80/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

№99/01-01 26.06.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თეიმურაზ ბერიძის 2014 წლის 16 ივნისის №18578/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ- პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ” რექტორის 2014 წლის 5 ივნისის №80/01-01 ბრძანებაში და ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკონკურსო დოკუმენტები 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 17 ივლისის ჩათვლით, 10^{00} დან 18^{00} საათამდე, მიიღება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №13, უნივერსიტეტის XI კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №428, ხოლო 2014 წლის 18 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით, 10^{00}-დან 18^{00} საათამდე — თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ X კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №310.“

2. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

„ჩვენი მარგო“ უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა

ჟურთხია გეროშვილი

„ჩვენი მარგო“ — მას დღესაც ასე მოიხსენიებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ისიც იციან, რომ 60-იანი წლებიდან დღემდე მას ყველა მეცნიერზე მეტი „ნაშრომი” აქვს შექმნილი. მარგო ჩიჩუა 55 წელი საბჭდ მანქანასთან იჯდა და თავაუღებლად „წერდა“ სამეცნიერო თუ საკანდიდატო ნაშრომებს, წიგნებს, მუშაობდა ყველა დარგში და ყველა სფეროში, მას ანდობდნენ ყველაზე რთულ და ძნელად შესასრულებელ სამუშაოს და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, არც ერთი მეცნიერისგან შენიშვნა არ მიუღია.

უნივერსიტეტის ცნობილი „მემანქანე“ მოგონებებით ცხოვრობს, სიამაყით და სიამოვნებით იხსენებს იმ დიდ მეცნიერებს, რომლებთან ერთად განვლო საინტერესო ცხოვრების გზა. „უნივერსიტეტში რომ მოვედი, რექტორი ევგენი ხარაძე იყო. იგი საუკეთესო პიროვნება გახლდათ. ამ წლების მანძილზე ვისთან არ მიმუშავია: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გურამ ჭილაშვილი, შოთა მესხია, მათე მირიანაშვილი, ზურაბ ფორაქიშვილი.... სერგო ჯორბენაძე პრორექტორი იყო სამეცნიერო დარგში. რომელი ერთი ჩამოვთვალო... მათთან ურთიერთობა ჩემთვის დიდი პატივი იყო. წლების მანძილზე ვბეჭდავდი მათ დისერტაციებს, სამეცნიერო ნაშრომებს, უცხოეთში გასაგზავნ წერილებს, ყველა მათგანისგან სითბო და სიყვარული მომყვება. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მეცნიერები იყვნენ, საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ და ყოველთვის მადლიერებას გამოხატავდნენ ჩემ მიმართ“, — ამბობს მარგო ჩიჩუა.

როდესაც საქმეს სჭირდებოდა, ღამეებსაც ათენებდა უნივერსიტეტში. ამ დიდ შრომაში ქალბატონი მარგო არც თუ შესაბამის ანაზღაურებას იღებდა — 70 მანეთს, თუმცა, თავისუფალ დროს კერძო შეკვეთებსაც ასრულებდა და დამატებითი შემოსავალიც ჰქონდა.

ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, მისთვის დღესაც ერთი რამ არის მთავარი — უნივერსიტეტი. „აქ თითოეული ქვაც კი მიყვარს. ხანდახან სახლში ცუდად რომ გავხდები, აქ მოვრბივარ, შემოვდგამ თუ არა ფეხს, მაშინვე უკეთესად ვხდები. ამჟამად წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის კახა ლორიასა თანაშემწე ვარ და დღესაც ისეთივე ხალისით და შემართებით ვმუშაობ, როგორც წლების წინ“.

უკვე 80 წლის დაუღალავი „ჩვენი მარგო“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა. მისთვის ეს ჯილდო განვლილი წლების საზღაურია, თუმცა, ასეთი შრომა და თავდადება შეუფასებელია.

ტექსტის ლინგვისტიკური კვლევა

პროფესორი ვიოლეტა (ვიოლა) ფურცელაძე პირველი გერმანისტია, ვის სახელსაც უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ლინგვისტური ქვედარგის — ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბება. გიორგი ახვლედიანის მონაფემ, ჯერ კიდევ 1955 წელს, ერთერთმა პირველმა დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ქართულ გერმანისტიკაში. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გერმანული ენის კათედრას და პარალელურად თანამშრომლობდა გერმანული ფილოლოგიის კათედრასთან. მას წლების განმავლობაში მიჰყავდა თეორიული კურსები გერმანული ფილოლოგიის კურიკულუმის ფარგლებში, როგორიცაა გერმანული ენის ისტორია, გერმანული ენის სტილისტიკა, გერმანული ენის თეორიული გრამატიკა.

1999 წელს შედგა პროფესორ ვიოლა ფურცელაძეს საკვალიფიკაციო ნაშრომის — „ტექსტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება“ საჯარო დაცვა, რომლის შემდგომ მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 2002 წელს აღნიშნული მონოგრაფია დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის სამეცნიერო პრემიით, მონოგრაფიის მეორე შესწორებული გამოცემა კი სულ ახლახანს იხილა დაინტერესებულმა მკითხველმა.

ნაშრომი ორნაწილიანია, სადაც პირველი ნაწილი ეთმობა ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. საყურადღებოა, რომ ავტორმა მკითხველს მიმოხილვით ნაწილში წარუდგინა ყველა ის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც გერმანულ ენათმეცნიერებაშია (და არა მარტო) ამ მიმართულებით შექმნილი, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ამ სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის.

მონოგრაფიის (ტექსტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება) მეორე გამოცემის რედაქტორ-გამომცემლის, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის ნინო ქიმერიძის აზრით, ნაშრომი პირველი მნიშვნელოვანი მცდელობაა ლინგვისტური ინტერპრეტაციის სფეროში. „თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის მიმართულების იმ სტუდენტთა თაობას მივეკუთვნები, რომლებიც პროფესორ ვიოლა ფურცელაძის ამ ფუნდამენტური ნაშრომის ხელნაწერის სახით გამრავლებული ფურცლებით ვსწავლობდით. ჩვენს მომდევნო თაობას წილად ხვდა ბედნიერება — უკვე შევსებული და განახლებული კურსი მოესმინა ტექსტის ლინგვისტიკაში. ქალბატონმა ვიოლა ფურცელაძემ ამ სალექციო კურსით ქართულ გერმანისტიკაში დაამკვიდრა ტექსტის ლინგვისტური კვლევები, რაც ევროპული ფილოლოგიური კვლევების განუყოფელი ნაწილი იყო უკვე გასული საუკუნის დასაწყისიდან, როცა გერმანელმა მკვლევრებმა — ლეო შპიცერმა და კარლ ფოსლერმა საფუძველი ჩაუყარეს ინტერპრეტაციულ სკოლას. ტექსტის ლინგვისტიკური კვლევები, გარკვეულწილად, აღმოჩნდა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ერთგვარი გზაჯვარედინი, რამაც საფუძველი ჩაუყარა ინტერდისციპლინურ კვლევებს ქართულ გერმანისტიკაში.

ისევე როგორც პირველ გამოცემის, ამ წიგნის მეორე ვერსიაც მომზადდა რამდენიმე თაობის თავდადებული შრომის შედეგად. მადლობელი ვარ ჩემი კოლეგის, პროფესორ ნუნუ კაპანაძის, რომელთან ერთადაც მომიხდა ნაშრომის პირველი გამოცემის ბეჭდური ვერსიის მომზადება. მასვე ეკუთვნის პროფესორ მაია ბარამიძესთან ერთად მომზადებული მეორე გამოცემის რეცენზია. მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფიის მომზადების პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტები და ბაკალავრები: ნინო წულაია, ნინო გოგელია, თამარ კახეთელიძე, ლანა ბრეგვაძე, თეონა კაპანაძე, ნათია ლაცაბიძე და მაგდა გუგავა“, — აღნიშნავს ნინო ქიმერიძე.

მისი ინფორმაციით, წიგნის მეორე გამოცემის დროს შეიცვალა დიზაინიც. პირველ გვერდზე თეოდორ კორნფელდის ცნობილი „ქვიშის საათის“ გამოსახულებაა, რომელიც ცხოვრების წარმომავლობაზე მიანიშნებს. „ასეთი განმარტება შეიძლება ამოიკითხოთ საკუთრივ ნაშრომში. ჩვენი პედაგოგი გვასწავლიდა, რომ რამდენი მკითხველიცაა, იმდენი ტექსტია. ჩვენთვის, ქალბატონი ვიოლას მოსწავლეებისთვის, ეს ქვიშის საათი მარადიულობის სიმბოლოა, რომელიც მუდმივად წიკწიკებს და მარადისობის წამებს ითვლის “, — ამბობს ნინო ქიმერიძე.

მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად

29 ივნისს კუს ტბაზე ძუძუს კიბოს საწინააღმდეგო აქცია – 2014 წლის მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად გაიმართა. აქციაში თსუ-ის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი აქცია ქვეყანაში, რომელიც ცნობიერების ზრდას ითვალისწინებს.

გახსენება

ღვაწლმოსილი წავიდა ამქვეყნიდან

გარდაიცვალა ფრანგული ფილოლოგიური სკოლის სახელოვანი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი საქართველოში — ფილოლოგიის დოქტორი გულნარა კანდელაკი.

თავისი ცხოვრების 50 წელზე მეტი მან მიუძღვნა ახალგაზრდობის აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეს, დიდია მისი, როგორც პედაგოგის დამსახურება. ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები ქალბატონ გულნარასთვის იყო ის ასპარეზი, სადაც ჩანდა როგორც პიროვნება, მეცნიერი და პედაგოგი.

განუსაზღვრელია მისი ღვაწლი ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით თუ კონსულტაციებით შესრულებულია სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომები და ჩვენ მის ყოფილ სტუდენტებს გვეამაყებოდა, რომ ვიყავით ქალბატონ გულნარას აღზრდილები.

იგი გამორჩეული პიროვნული თვისებებით იყო დაჯილდოებული. იგი სტუდენტებს უნერგავდა და უღვივებდა წმინდა ადამიანურ ღირებულებებს, როგორიცაა — სიყვარული, სითბო, მიმტევებლობა, გულისხმიერება. ყოველივეს კი უზიარებდა თავის მეგობრებსა და კოლეგებს.

ამ თვისებებმა მოუპოვეს მას საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა, ღვაწლმოსილი წავიდა ამქვეყნიდან ქალბატონი გულნარა კანდელაკი და დაგვიტოვა კვალი ნათელი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის მიმართულება

უნივერსიტეტის დროშისა და გერბის ესკიზებს განხილვისთვის წარმოგიდგენთ

უნივერსიტეტის დროშის ესკიზები — განსახილველი ვარიანტები

უნივერსიტეტის გერბის ესკიზები — განსახილველი ვარიანტები

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62